




იმისთანა წმინდა სადმეში, ბეგბეგ ბეგ-  
ურდი სიფყავს, ფედიოლებით და ჭებებით ბურ-  
თის გადნას ყულა უკადრისებზე უსამაგლესია.

ბაგოდის 1918 წლის  
25 ივლისიდან

# რესპუბლიკა

ოთხშაბათი, 13 დეკემბერი. 2023 წ. №140 (9672) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი

## „აზრეუზის გზის“ ფორკოსტი



### ფაზისუი ინყაბა საქართველოს საზღვაო ისტორია

საქართველოს საზღვაო მუზეუმი -  
წარსულისა და აწმყოს  
გადაკვეთის ადგილი.

საზღვაო მუზეუმის მუზეუმლოგასთან  
დაკავშირებით ფოთელაბი მხარდაჭერას  
თხოვენ საქართველოს პრემიერ-მინისტრს.

**გაბონ ირაკლი ღარიბაშვილს**

მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება ეროვნული პრიორიტეტების გამყარებას, წარსულის დიდი მემკვიდრეობის წარმოჩენას, როგორც სახელმწიფოს დამოუკიდებლობის ერთ-ერთ უმთავრეს ფაქტორს. მისასაღმებელია საქართველოს პრემიერის, გაბონ ირაკლი ღარიბაშვილის პატრიოტული, მამულიძეილური დამოუკიდებულება ამ საკითხისადმი, რის გამოც გამოვხატავთ მადლიერებას.

ეს სტიმულს გვაძლევს მივმართოთ პრემიერს ქვეყნისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხთან დაკავშირებით.

საქართველომ არ უნდა დაკარგოს კოლხური ისტორიის უმნიშვნელოვანესი პერიოდი, კოლხეთი

იწყება მსოფლიო ცივილიზაცია, ამდენად, იგი მსოფლიოს საკუთრებაა, ყველაფერი უნდა გაკეთდეს მისი გამრწყინებისათვის, რათა თათბერმა იცოდნენ საქართველოს დინსეული წარსულის, მათ შორის დიდი საზღვაო წარსულის შესახებ, რამაც დღის წესრიგში დააყენა საქართველოს საზღვაო მუზეუმის კომპლექსის მშენებლობა, რომელიც ნათელს მოჰფენს კოლხეთის ატლანტიდურ ფესვებს, არგონავტების მოგზაურობას, მედეას ფენომენს, რასაც უნდა დაუკავშირდეს მსოფლიოს ტურისტული მარშრუტები - არგონავტების ნაკვალევზე.

№ 5 გვ.

## წინ, წინაპრებისკენ!



### კუბლიცისტი, რედაქტორი, მეცნიერი, დიდი რუსთველოლოგი

ვიკტორ ნოზაძის  
რუსთველოლოგიური  
მოღვაწეობის შესახებ

## ქართველები ჰაბის „ახალ ეკლესიაში“ აქვარდნენ



№ 7 გვ.

## „პირდაპირის“ აუცილებლობა

### სოხუმთან დიალოგი:

№ 3 გვ.

## რადაც ახალი, თუ ქარიშხალი ჭიქაში?!

## რატომ არ ბაბავს ნატო ეპროკავშირს?!

ბალანსირების  
პოლიტიკამ უნდა  
გადაგვარჩინოს!

## გაითხველის თხოვნით

## დიკლომატია და მისი განხორციელების მეთოდები

№ 8

ზუამავლის უაჭვას  
მისი მოსმენა ჯობს!

## სიყვარული „ღმთიურ ქოხში“, საქართველო რომ ჰქვია



№ 9 გვ.

# დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია

საქართველოს პრემიერ-მინისტრის, ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით 11 დეკემბერს მთავრობის სხდომა გაიმართა. მინისტრთა კაბინეტის წევრებმა დღის წესრიგით გათვალისწინებული 13 საკითხი განიხილეს.

საქართველოს მთავრობის ინფორმაციით, სხდომაზე დამტკიცდა განკარგულების პროექტი – საქართველოს მთავრობის საკომუნიკაციო სტრატეგია 2024-2027 წლებისთვის.

მათივე ცნობით, საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებული დოკუმენტის მიზანია მთავრობასა და საზოგადოებას შორის პროაქტიული, თანმიმდევრული და კოორდინირებული საკომუნიკაციო სისტემის ერთიანი ხედვის შემუშავება, რაც, ერთი მხრივ, ხელს შეუწყობს ქვეყნის მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდას და, მეორე მხრივ, მორგებული იქნება საქართველოს მთავრობის გრძელვადიან საკომუნიკაციო მიზნებზე.

კომუნიკაციის სტრატეგია ეფუძნება მთავრობის მიერ 2023 წელს დამტკიცებულ ეროვნული პოლიტიკის დოკუმენტს – „ხედვა 2030 – საქართველოს განვითარების სტრატეგია“ და სრულ თანხვედრაშია ქვეყნის განვითარების გრძელვადიან ხედვასთან,



სტრატეგიულ პრიორიტეტებთან, მიზნებსა და ამოცანებთან.

სტრატეგიის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულება არის დეზინფორმაციისა და ცალბედიანი ინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლა, დეზინფორმაციის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით ძალისხმევების გაძლიერება და ამავდროულად სახელმწიფო უწყებების სტრატეგიული კომუნიკაციების დახვედრის შედეგად მთავრობის განვითარება.

დოკუმენტის შემუშავების პროცესში მონაწილეობა მიიღეს როგორც საქართველოს მთავრობის უწყებების სტრატეგიული კომუნიკაციების დანაყოფების წარმომადგენლებმა, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივმა ექსპერტებმა, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს, ნატოსა და ევროკავშირის საინფორმაციო ცენტრის სტრატეგიული კომუნიკაციების წარმომადგენლებმა.

სტრატეგიის მიზნებისთვის აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დაფინანსებული პროგრამის („სტრატეგიული კომუნიკაციები უკეთესი მომავლისთვის“) ფარგლებში ჩატარდა საქართველოს მთავრობის უწყებების სტრატეგიული კომუნიკაციების სისტემური კვლევა, რომლის შედეგად გამოიკვეთა, ერთი მხრივ, ამ მიმართულებით არსებული გამოწვევები, ხოლო მეორე მხრივ, სტრატეგიული კომუნიკაციების განვითარების შესაძლებლობები.

## შალვა კაკაუაშვილი: დღეს კაკაუაშვილის მნიშვნელობა იზრდება არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ საერთაშორისო დონეზეც, დიდწილად, საქართველო-აზერბაიჯანის წარმატებული პარტნიორობის წყალობით, – ასე ეხმაურება შალვა კაკაუაშვილი ილჰამ ალიევიდან შეხვედრას. შესაბამისი განცხადება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე სოციალურ ქსელში გამოაქვეყნა.

„დღეს ბაქოში ჩემი ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში შეხვედი ჩვენი ერის დიდ მეგობარს, პრეზიდენტ ალიევი. ჩვენი საუბარი შეეხო საქართველო-აზერბაიჯანის თანამშრომლობის ყველა სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან და პერსპექტიულ ასპექტს, რაც გვაქცევს შეუცვლელ სტრატეგიულ პარტნიორებად ისეთ სფეროებში, როგორებიცაა ეკონომიკური და მიწის თანამშრომლობის გაღრმავება და, რაც მთავარია, ჩვენი საერთო კავშირი ევროპულ ენერჯეტიკულ და სატრანსპორტო ინფრასტრუქტურასთან.“

მართლებით კიდევ უფრო მეტის გაკეთებაზე. მოუთმენლად ველი კიდევ უფრო დიდ პარტნიორობას და ვუსურვებ პრეზიდენტ ალიევის და ჩვენს აზერბაიჯანელ ძმებსა და დემს მეტ მშვიდობას, უსაფრთხოებას და კეთილდღეობას“...

ვიზიტის ფარგლებში შალვა კაკაუაშვილი აზერბაიჯანის რესპუბლიკის მილი მეჯლისის თავმჯდომარეს საჰიმბა გაფაროვას და აზერბაიჯანის პრემიერ-მინისტრს, ალი ასადოვს შეხვდა. მხარეებმა ორი ქვეყნის სტრატეგიული ურთიერთობაზე, ეკონომიკური პროექტებისა და სამშვიდობო პოლიტიკაზე ისაუბრეს.



დღეს კაკაუაშვილის მნიშვნელობა იზრდება არა მხოლოდ რეგიონულ, არამედ საერთაშორისო დონეზეც, დიდწილად, საქართველო-აზერბაიჯანის წარმატებული პარტნიორობის წყალობით. ეს პარტნიორობა ეფუძნება ჩვენს საერთო გაგებას გრძელვადიანი რეგიონული მშვიდობისა და სტაბილურობის აუცილებლობის შესახებ. ამ კუთხით ჩვენ დეტალურად განვიხილეთ რეგიონული კონფლიქტები და უსაფრთხოების ვითარება. ჩვენი ერთობა პარლამენტები მონაწილეობენ მშვიდობის მიღწევაში და ჩვენ უნდა ვიფიქროთ ამ მი-

## არც პერიფიკაციის და არც ხმის მთვლელ აპარატებს ინტერნეტთან კავშირი არ აქვს!

ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში აცხადებენ, რომ ელექტრონულ არჩევნებთან დაკავშირებით დაინტერესებული მხარეები მორიგ სიცრუეს ავრცელებენ. ამის შესახებ ცხსკო განცხადებას ავრცელებს:



„საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვა კვლავ ხდება დაინტერესებული პირების მხრიდან არა-არგუმენტირებული და უსაფუძვლო ბრალდებების ობიექტი. ბოლო პერიოდში სულ უფრო ხშირად კეთდება განცხადებები, რომლებიც საარჩევნო ტექნოლოგიების გამოყენების დაკანონებისა და საზოგადოებაში მის მიმართ უნდობლობის გაჩენისკენ არის მიმართული. ამჯერად გვინდა გავთავსოთ ჩვენს წარმოდგენებს მართლმართლად, ივანე ბურდულის მიერ გაკეთებულ არაარგუმენტირებულ და რეალობას მოწვევით განცხადებას.“

ერთაშორისო სტანდარტებთან, საქართველოს კანონმდებლობასა და ტექნიკურ სპეციფიკაციებთან შესაბამისობაშია. ელექტრონული აპარატები მუშაობს გამართულად, უსაფრთხოდ და ზუსტად.

მათთვის, ვინც აუდიტის დასკვნას არ იცნობს, გვინდა, ხაზგასმით აღვნიშნოთ, რომ არც ვერნიფიკაციის და არც ხმის მთვლელ აპარატებს ინტერნეტთან კავშირი არ აქვს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საარჩევნო პროცესში ელექტრონული ტექნოლოგიების დანერგვის პირველ ეტაპზე პოლიტიკური სპექტრის მოთხოვნაც სწორედ ის გახლდათ, რომ აპარატებს არ ჰქონოდათ კავშირი ინტერნეტთან. ამ პროცესებიდან რამდენიმე თვის შემდეგ კი დაინტერესებული პირები ტექნოლოგიის კრიტიკისას ურთიერთგაომხრისებრ განცხადებებს უშვებდნენ. ერთი მხრივ, ისინი ითხოვენ ინტერნეტით ხმის მიცემას, ხოლო მეორე მხრივ, თავადვე ატყევენ, რომ საარჩევნო პროცესში ინტერნეტის გამოყენება საფრთხევანია შეიცავს.

ერთ-ერთ მედიასაშუალებებაში გასულ რეპორტაჟში, საარჩევნო ტექნოლოგიების შეფასებისას, ბურდული ამტკიცებს, რომ „ამ აპარატების მცირედილი აპარატებს ნიშნავს იმას, რომ ძალიან მცირე, პატარა ჩიპის ჩადება არის აბსოლუტურად საკმარისი, რომ პროგრამულად დაუკავშირდნენ პლანშეტი, ხმის დათვლის აპარატი და ვერნიფიკაციის აპარატი ერთმანეთს და პლანშეტის ინტერნეტის მეშვეობით ეს მონაცემები გადაიზიარდეს სხვაგან“. ეს განცხადება არ შეესაბამება რეალობას და მიუთითებს იმაზე, რომ რესპონდენტს საზოგადოება მიზანმიმართულად შეჰყავს შეცდომაში ან არ აქვს ინფორმაცია იმ ტექნოლოგიების შესახებ, რომლითაც საქართველოში 2024 წლის 26 ოქტომბერს არჩევნები უნდა ჩატარდეს.


ამდენად, ნათელია, რომ ასეთი განცხადებები მხოლოდ საარჩევნო პროცესის და ელექტრონული ტექნოლოგიების დისკრედიტაციას ემსახურება და არ ეფუძნება არანაირ დასკვნას ან არგუმენტს. შეგახსენებთ, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის გახსნის პოლიტიკა, რეაგირების გარეშე არ დატოვოს ელექტრონულ ტექნოლოგიებთან დაკავშირებით გაფრთხილებული ცრუ ინფორმაციები, ვინაიდან ამ პროცესის წარმატებით განხორციელება გარკვეულწილად დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად სწორად იქნება საზოგადოება ინფორმირებული სიახლის შესახებ. შესაბამისად, საარჩევნო პროცესში ჩართულ მხარეებს კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ, ნუ დააზიანებენ საარჩევნო პროცესს და ელექტრონულ არჩევნებს, რომელიც 2024 წლის 26 ოქტომბერს ამომრჩევლის თითქმის 90%-ისთვის იქნება ხელმისაწვდომი. არჩევნები საერთო საქმეა და ყველას აქვს თავისი წილი პასუხისმგებლობა არჩევნების მოდერნიზების ამ მნიშვნელოვან პროცესში.“

## „ჩემი ქალაქი მკლავს“ – სივრუეში იხრჩობა!

თბილისის მერი განცხადებას ავრცელებს, რომელშიც საუბარია არასამთავრობო ორგანიზაცია „ფლანგვის დეტექტორის“ და მოძრაობის „ჩემი ქალაქი მკლავს“ მიერ გავრცელებულ ინფორმაციაზე, თითქოს, წერეთლის გამზირის რეაბილიტაციის დასრულების ვადა შეიცვალა და გადაიწია სამი თვით.

„აღნიშნული ინფორმაცია არის სრული სიცრუე, რაც ემსახურება თბილისის მუნიციპალიტეტის დისკრედიტაციას და საზოგადოების შეფერხებას. თბილისის მერსა არ შეუცვლია პროექტის განხორციელების ვადა, წერეთლის გამზირის რეაბილიტაცია დასრულდება წინასწარ განსაზღვრულ დროს – 2024 წლის იანვრის ბოლოს. მოვუწოდებთ მედიის წარმომადგენლებს, ნუ ენდობიან ცალმხრივ ინფორმაციებს და თბილისის მუნიციპალიტეტის შესახებ გავრცელებული ნებისმიერი ინფორმაცია გადაამოწმონ თბილისის მერიის პრესსამსახურთან“, – აღნიშნულია მერიის განცხადებაში.

ამ განცხადების უსაფუძვლობას ადასტურებს პირველი ოქტომბრის არჩევნებზე ამერიკული კომპანია Pro V&V-ის მიერ ჩატარებული აუდიტის დასკვნა, რომლიდანაც იკითხება, რომ: არც ვერნიფიკაციის და არც ხმის მთვლელ აპარატებს არ აქვთ პროგრამული შესაძლებლობა, რომ ინტერნეტით მონაცემები მიიღონ ან გააგზავნონ; პლანშეტს შეუძლია ინფორმაციის გადაგზავნა მხოლოდ ცხსკოში და არსად სხვაგან; პლანშეტს არ შეუძლია არანაირი ფაილის გაგზავნა, გარდა ხმის მთვლელი აპარატების შედეგებისა. აუდიტი ადასტურებს, რომ ელექტრონული აპარატურა და პროგრამული უზრუნველყოფა სა-



სოხუმში დიდი ვნებთაღება გამოიწვია მოქალაქეებმა ონლაინ-ინტერნეტზე, რომელშიც ერთობლივად მიიღეს მონაწილეობა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს დეპუტატებმა (დეპუტატობაში) ვახტანგ ყოლაბაიამ და აფხაზეთის დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანმა სერგეი შამბამ. ახალ ნიუანსად იქნა ის, რომ აქამდე სოხუმის წარმომადგენლები არ ჯდებოდნენ ერთ (თუნდაც ვირტუალურ) მაგიდასთან დიდი ხნის უფლებების წარმომადგენლებთან, რომელთაც თბილისში აფხაზეთის ლეგიტიმურ ხელისუფლებას მიიჩნევენ.



**ინტერვიუზე რაპსტინა სოხუმში**

მთლიანობაში, ეს ინტერვიუ ახალს დიდად არაფერს შეიცავდა. შამბამ გაიმეორა თავისი ანაეროზი ინტერვიუები ფორმულარულად ურთიერთგაგების ძიების აუცილებლობის თაობაზე. მისი თქმით, ქართულ-აფხაზეთის კონფლიქტი „შვილებსა და შვილიშვილებს არ უნდა დაეუბრებოდნენ“. „უნდა ვეძებოთ შესაძლებლობები მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის“ და 30 წლის შემდეგ „შესაძლებელია, დაიწყოს განკვეთილი მოძრაობები ურთიერთგაგების მიმართულებით“. თუმცა მათთვის, ვინც იცის, ვინაა შამბა, ნათელია, რომ იგი გულისხმობდა ორი მებრძოლი, დამოუკიდებელი ქვეყნის დიალოგსა და თანაცხოვრებას, რაც არაა შესაძლებელი მათ შორის – თბილისისთვისაც.

თუმცა ამ რიგითი ინტერვიუს ფაქტს ჩაევიდა ვეტერანთა ორგანიზაცია „არუა“, რომელიც ოპოზიციისა და მოქმედ დე-ფაქტო ხელისუფლებასთან. მან ნებისმიერი დიალოგის იდეა უკუაგდო და კვლავ კრიტიკით დააყენა თავს იგი ფაქტო ხელისუფლებას.

**„გამიჩნდა კითხვა: სანქციონებულია თუ არა ეს დიალოგი ჩვენი ქვეყნის ხელმძღვანელების მიერ?... საქართველოსა და აფხაზეთის რესპუბლიკის მოლაპარაკებათა პროცესებთან დაკავშირებული საკითხები წარმოდგენილი იყო პრეზიდენტის მიერ მომზადებულ „აფხაზეთის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის“ და აფხაზეთის რესპუბლიკის საქართველოსთან მრავალდონიანი მოლაპარაკებების შესაძლებლობის შესახებ. თუმცა ჩვენმა საზოგადოებამ ამ საკითხისადმი პროტესტი გამოხატა... სამართლო კამპი, პრეზიდენტი ასლან ბუაჩია და მისი ადმინისტრაცია იძლევიან გაცხადონ, აფხაზეთის რესპუბლიკისთვის მიუღებელი ეს პუნქტი ამოეღოს“**, – განაცხადა „არუას“ ლიდერმა თამარ გულსია.

**სოხუმთან დიალოგი: რაღაც ახალი, თუ ქარიშხალი ჭიქაში?!**

მეტეც, მან – შესაძლოა, პირველმა აფხაზ პოლიტიკოსმა შორის, განაცხადა, რომ სოხუმში საქართველოს მხრიდან აღიარებაშიც კი არაა დაინტერესებული. და აი, ამან მართლაც სიახლედ გაიფიქრა.

**„თუ დაეუბნებო, რომ საქართველო გვადარებს, ეს ამ ეტაპზე დიდი რისკებისა და საფრთხის შემცველია. რა შეიძლება, მოხდეს? – დასავლეთის მხარდაჭერით მოსარგებლე ქართული მიზნის დაიწყებს ყველაფრის შესყიდვას, დაიწყება ინვესტიციების მოზიდვა, საინტეგრაციო პროცესები როგორც სახელმწიფო, ისე რიგითი მოქალაქეების დონეზე. ვთვლი, რომ აფხაზეთის რესპუბლიკას სადღესოდ არ სჭირდება მოლაპარაკებები მტერთან და არც საქართველოს მიერ აღიარება“**, – განაცხადა გპულიამ.

**ინტერვიუზე რაპსტინა თბილისში**

თბილისში დიალოგის ამ მოულოდნელი მცდელობის მიმართ თავმჯდომარე დამოკიდებულება გამოიჩინეს, შეიძლება, ითქვას, გრილიც კი. თუმცა თუ რამდენიმე წლის წინ ხელისუფლებამ საერთოდ რეაგირების გარეშე დატოვა სოხუმის წინადადება დიალოგის დაწყების თაობაზე, ამჯერად ფორმატში, რომელიც ფორმატში, არა სემბლირება და პროცესებით. არსებობს ჩვენს აფხაზ თანამემამულეებთან კონტაქტების სხვადასხვა ფორმატები, მათ შორის – ჰუმანიტარული კონტაქტები. ჩვენ ვიყენებთ ყველა შესაძლო არხს, რათა ვაჩვენოთ ჩვენს აფხაზ თანამემამულეებს ერთიან სახელმწიფოში ცხოვრების უპირატესობები“

**„დრო გვიჩვენებს, როგორ მოხდება ეს ყველაფერი, რომელი ფორმატში, რა ნაბიჯებითა და პროცესებით. არსებობს ჩვენს აფხაზ თანამემამულეებთან კონტაქტების სხვადასხვა ფორმატები, მათ შორის – ჰუმანიტარული კონტაქტები. ჩვენ ვიყენებთ ყველა შესაძლო არხს, რათა ვაჩვენოთ ჩვენს აფხაზ თანამემამულეებს ერთიან სახელმწიფოში ცხოვრების უპირატესობები“**, – განაცხადა შამბამ.

ანალიტიკურ ჯრილში გამოხატეს აზრი მმართველი პარტიის სხვა წარმომადგენლებსაც.

ამავდროულად ოპოზიციის სხვა კითხვას, იქნა თუ არა ეს ინტერვიუ რიგ მნიშვნელოვან პროცესებთან ჩვეულებრივი დამოკიდებულების შედეგად, თუ ეს თბილისის ტაქტიკაში ცვლილებების მანიშნებელია?

**„ნიშნავს თუ არა ეს, რომ ქართული ოცნება“ თავის მიდგომებს ცვლის? ეს დიალოგი ძალზე უცნაურ დროს გა-**

მოქვეყნდა, როცა ცირკულირებს ხმები ენგურზე ხიდებისა და ტრანზიტის გახსნის შესახებ. ეკონომიკის პრობლემების ირგვლივ დიალოგი უწყინარი რამაა, მაგრამ როდესაც ვხედავთ, რომ პოლიტიკა ფორმირდება სადაც პარლამენტის კულისებში და მთავრობის წევრები საქმის კურსში არ არიან, ეს პრობლემაა“

– განაცხადა დამოუკიდებელმა დეპუტატმა თამარ გულსიამ.

**„მსგავსი წამოწყება ავნიშნავ ჩვენს სტრატეგიულ ინტერესებს. ჩვენთვის საქართველოს ოკუპირებულ რეგიონებში ერთადერთ მხარეს წარმოდგენს რუსეთის ფედერაცია, რომელიც ერთპიროვნულად იღებს სოხუმსა და ცხინვალში ყველა სამხედრო და სტრატეგიულ გადაწყვეტილებას. ნებისმიერი მცდელობა, პროცესი გასული საუკუნის 90-იანი წლების ლიანდაგზე დაბრუნდეს და კვალიფიციონდეს, როგორც ქართველთა და აფხაზებს შორის ერთპიროვნული, რომელიც რუსეთის ვითომდა არაავითარი წვლილი არ მიუძღვის, ჩვენს ერთგულ ინტერესს წინააღმდეგობა“**, – განაცხადა „ევროპული საქართველოს“ ლიდერმა გიორგი გომეზიამ, რომლის შეფასებით, სადღესოდ შენევის მექანიზმით წარმოდგენილი მოლაპარაკებათა ფორმატის გადახედვის ნებისმიერი მცდელობა საქართველოსთვის საფრთხის შემცველია.

საქმე იმაშია, რომ „პირდაპირი მოლაპარაკებების“ ფორმალურად დაფუძნებული ფორმატი დიპლომატიის ენაზე სოხუმის საერთაშორისო სტატუსის ამოღებისა და ოკუპირებული რეგიონების არაღიარების პოლიტიკის ფაქტობრივი დეზავერების ნიშანი იქნებოდა.

ამავდროულად, ეს შეზღუდვა არანაირად არ უშლის ხელს არაფორმალური „პირდაპირი“ დიალოგის წარმოებას, თუმცა ამისთვის საჭიროა სულ მცირე, ორივე მხარის სურვილი და რუსეთის მხრიდან წინადადების არარსებობა.

რაულან ძაჯანია

**გაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ქართული მონაკვეთის გაფართოება ორ თვეში დასრულდება**

აზერბაიჯანის პრეზიდენტ ილჰამ ალიევის ინფორმაციით, ბაქოდან საქართველოს საზღვრამდე რკინიგზის რეკონსტრუქცია უკვე მთლიანად დასრულებულია, ხოლო ქართული მონაკვეთის გაფართოება ორიოდ თვეში დასრულდება.

**„ამჟამად ამ ლიანდაგზე მატარებლების სიჩქარე 120 კმ/სთ-ია, რამდენიმე წლის წინანდელი 50-60 კმ/სთ-თან შედარებით, ანუ მატარებლები უფრო სწრაფად იმობრავდებიან. ერთ-ერთ თვეში დასრულდება ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის ქართული მონაკვეთის გაფართოება. ეს არის 100%-იანი აზერბაიჯანული ინვესტიცია, 100 მილიონ აშშ დოლარზე მეტი. დაგეგმილია ამ სექტორის გამტარუნარიანობის გაზრდა 1 მილიონიდან 5 მილიონ ტონამდე მატარებლის ორი თვის განმავლობაში“**, – განაცხადა ალიევა.

ეს პროექტი ახალი ტვირთების მიღებისთვის ახალ შესაძლებლობებს გახსნის: „ჩვენ გვქონდა გეგმა, რომ ეს გზა სომხეთის გავლით გაგვეგრძელებინა, მაგრამ სომხეთმა უარი თქვა. ამდენად, შევთანხმდით ირანულ მხარესთან და უკვე ვაშენებთ სამანქანო ხიდს, შემდეგ კი რკინიგზისთვის ავაშენებთ სომხეთის გვერდის ავლით. ასევე, მდინარე არაზის სამხრეთ ნაპირზე დაახლოებით 50 კილომეტრის სიგრძის რკინიგზის გაშენება. ეს მარშრუტი ნახევარზე გაივლის, შემდეგ კი იქნება კავშირი თურქეთის სარკინიგზო სისტემასთან – როგორც თურქულმა მხარემ გვაცნობა, ყარსი-ნახჩევანის რკინიგზის მშენებლობა იგეგმება. ამრიგად, ეს იქნება შუა დერეფნის კიდევ ერთი გაფართოება – ერთი გადის საქართველოდან ყარსის და ხმელთაშუა ზღვის პორტებისკენ, მეორე – ზანგილანის, ირანის, ნახჩევანის და ისევ

თურქეთის გავლით. ეს ზრდის ფიზიკურ შესაძლებლობებს, მაგრამ ეს გზა კომერციულად უფრო მიმზიდველი უნდა გახდეს. ამისთვის ჩვენ უკვე შევქმენით თანამშრომლობის ძალიან ფიქსირებული ფორმატი აზერბაიჯანს, საქართველოს, ყარსისა და თურქეთს შორის“

– თქვა ალიევა.

მანამდე ეკონომიკის სამინისტროში განაცხადეს, რომ ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის მშენებლობა 2024 წელს დასრულდება. სამინისტროდან მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ დღეისთვის ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზის საქართველოს მონაკვეთზე სამშენებლო სამუშაოების 90% შესრულებულია და აზერბაიჯანის გამოყოფილი საკრედიტო ხაზიდან 756 მლნ დოლარია ათვისებული. პროექტის დასრულება 2024 წელს იგეგმება, რის შემდეგაც მარაბდა-კარჩახის სარკინიგზო უბანი ექსპლოატაციაში გაეშვება.

**„სამშენებლო სამუშაოების დასრულების და მონაკვეთის ექსპლოატაციაში შესვლამდე შეიქმნება ქართულ-აზერ-**



მაიჯანული ერთობლივი საწარმო, როგორც ეს არის გათვალისწინებული ჩვენს ქვეყნებს შორის დადებული საერთაშორისო ორმხრივი ხელშეკრულების მიხედვით. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ორ ქვეყანას შორის დაწყებულია შესაბამისი იურიდიული პროცედურები“

– ნათქვამია დოკუმენტში, სადაც აღნიშნულია, რომ მარაბდა-კარჩახის სარკინიგზო ხაზზე შესაძლებელი იქნება წელიწადში 5 მლნ ტონა ტვირთის გატარება. აზერბაიჯანის პრეზიდენტმა მიულოცა უზმევეთს, ყირგიზეთს და ჩინეთს რკინიგზის ამოქმედება:

**„ვიცი, რომ ეს პროექტი მრავალი წლის განმავლობაში განხილვებოდა და ახლა მისი დაწყება თვითაღიარებულად გამოხადდა. რა თქმა უნდა, ეს იქნება დიდი წვლილი შუა დერეფანში და ჩვენთვის ძალიან მიმზიდველია, რადგან მოძრაობის მარშრუტი კასპის ზღვისკენ არის მიმართული. ახლაც, ამ რკინიგზის გაშენებზე, უზმევეთის კომპანიებისთვის ტრანსპორტი მარშრუტით სარგებლობის შესაძლებლობა არსებობს. და ისინი იყენებენ მას, თუმცა მცირე რაოდენობით. მაგრამ ვფიქრობ ახლა, როცა აქტიურად ვმუშაობთ ჩვენი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის დიგიტალიზაციის საკითხებზე, ასევე ერთიან სატარებლო პოლიტიკაზე, მარშრუტი უფრო მიმზიდველი იქნება. მარშრუტი, რა თქმა უნდა, გვერდ უფრო მიმზიდველია დროის თვალსაზრისით, მაგრამ არ არის კონკურენტუნარიანი სამდღავო მარშრუტთან შედარებით, რაც აშკარაა. ამიტომ, ჩვენი ამოცანაა, გავხადოთ ის უფრო მიმზიდველი კომერციული თვალსაზრისით. და ეს მოითხოვს, რა თქმა უნდა, ერთობლივ პოლიტიკას ტარებებზე, დიგიტალიზაციაზე, რათა ტვირთის გამგზავნებმა შეძლოს თავიანთი ტვირთის გადაადგილების მონიტორინგი და ანა მხოლოდ ეს. ეს ასევე მოიცავს ფიზიკურ ინვესტიციებს ინფრასტრუქტურაში“**.

„აქცენტი“

# რატომ არ ბაძავს ნატო ევროკავშირს?

## ბალანსირების პოლიტიკა უნდა გადაგვარდნოს!

ევროკავშირის მიერ საქართველოსთვის პანდოლის სტატუსის მონიჭების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ნატოში საქართველოს განხილვის საკითხი. ამის შესახებ მინიშნება უკვე გაკეთდა საქართველოდან. თუმცა, ფაქტია, რუსეთის პრინციპული მდგარი ნატოსთან არ არის საკუთარ გადაწყვეტილებებში, როგორც ევროკავშირი. ჩვენი ხელისუფლება მეტ სიხსნადეს მოითხოვს ნატოსთან. შემთხვევითი არაა მმართველი გუნდის გზავნილი, რომ ნატომ უნდა გადაიღოს და გაიზიაროს ევროკავშირის მიღებული და გვიტანას ზუსტი კრიტერიუმები საქართველოს დასახლოებულად, ასევე, უნდა გვიტანას, როდის იქნება პროგრესი, რომ ამას გადაწყვეტილებები მოჰყვას. მით უმეტეს, რომ საქართველო დიდი ხანია, ისე იქცევა, როგორც მოკავშირე ქვეყანა, რომელსაც საკუთარი კონტრინტელი შეაქვს მსოფლიო უსაფრთხოებისთვის.

რატომ ვერ მაძვს ნატო ევროკავშირს და მკაფიოდ რატომ არ მიგვანიშნებს, მომავალ წელს ვაშინგტონის სამიტზე მიიღებენ თუ არა საქართველოსთვის სასარგებლო გადაწყვეტილებას? იმედის მომცემია თუ არა საქართველოს ხელისუფლების განცხადება, რომ პარტნიორობის განხილვის გზაზე ვართ და ველოდებით, რომ ისინი მხარს დაუჭერენ საქართველოს განხილვას როგორც ევროკავშირში, ისე ნატოში? როდის იფიქრებს ნატო მკაფიოდ გვემატება საქართველოსთან მიმართებით? საქართველოს სტრატეგიისა და საერთა-



შორისო ურთიერთობების კვლევის ფონდის ევროპული კვლევების ცენტრის ხელმძღვანელი პაბო გომოლაშვილი მიიჩნევს, რომ ნატოსა და საქართველოს ურთიერთობის თვალსაზრისით, რაც აქამდე დამამრკოლელები იყო, ეს იყო რუსეთის მუქარა, რომ კვლავ გააჩაღებდა ომს. ეს მუქარა არსად არ წასულა, ჩვენ ვხედავთ, რომ უკრაინაში გაბედა რუსეთმა და ამხელა ომი ჩამოიწყო. ამდენად, ნატოს წევრ ქვეყნებს არ აქვთ იმის ფუფუნება, კიდევ ერთხელ მოახდინონ რუსეთის პროვოცირება უკვე საქართველოს მიმართულებით.

რუსეთის ფაქტორი ყველასთვის გასაგებია, მაგრამ ამ ობიექტური მიზეზის გარდა ჩემთვის ცოტა გაუგებარია, რატომ გაკეთდა მკვეთრი განცხადება მმართველი გუნდის მხრიდან და ნატოსგან მეტი მკაფიოობა რატომ მოითხოვს. თუნდაც შალვა პაპუაშვილს ხომ ძალიან კარგად ესმის, ამ ეტაპზე ნატო დამატებით რისკების შექმნას არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს. შესაძლოა, ამის უკან დგას უკმაყოფილება ნატოს ნაკ-

ლები აქტიურობით ჩვენს მიმართ. თუმცა ეს ზუსტად იმავე სახის რიტორიკაა, რაც იყო ევროკავშირის მიმართ, რომ საქართველომ დაიმსახურა და რატომ არ გვადევნებ კანდიდატის სტატუსს? ნატოსთან რიტორიკაც დაახლოებით ასეთია, თუ სტატუსს არ ვიმსახურებთ, მაშინ გვითხარით, რატომ არ გვადევნებ ნატოში გაწევრიანების სამოქმედო გეგმას?!, - ახსნა დეპუტატმა პაბო გომოლაშვილი Forge-სთან საუბარში და შეკითხვის საპასუხოდ, მომავალ წელს ვაშინგტონის სამიტზე უნდა ველოდოთ თუ არა ნატოში გაწევრიანების პერსპექტივას, განმარტავს, რომ, სანამ რუსეთსა და უკრაინას შორის გამალეგებული ომია, რა თქმა უნდა, ნატო საქართველოს არ მისცემს გაწევრიანების სამოქმედო გეგმას და ეს აისხნება ისევე საქართველოს უსაფრთხოებიდან გამომდინარე.

ანალიტიკოსი ედიშერ გვენეტაძე მიიჩნევს, რომ ნატო სამხედრო-პოლიტიკური ბლოკია, რომლის სამხრეთ კავკასიაში, უფრო სწორად კი დარჩენილ პოსტსაბჭოთა სივრცეში

გაგრძელებას რუსეთი არ დათანხმდება, სანამ პირში სული უდგას. სწორედ ნატოსკენ სწრაფვამ გამოიწვია ის უბედურება, რომელიც დღეს უკრაინაში ტრიალებს.

„თავად ნატოს ლიდერები და უკრაინის სახელისუფლებო ხრთა, ანუ ზელენსკის სახელისუფლებო ხრთა ამბობს, რომ რუსეთ-უკრაინის ომი ნატოსკენ სწრაფვამ გამოიწვია. ამიტომ საქართველო უნდა ეცადოს ბალანსირებას. დღეს ნატოსთან დაკავშირებით ხმაბაღალა ლაპარაკი და ნატოში გაწევრების მოთხოვნა არაა მგონია, რეალური იყოს. უკრაინა დიდი ტერიტორიაა და მას საკუთარი ტერიტორია შეეღის, თორემ ნახეთ, რა ხდება, თავად უკრაინელები ამბობენ, 300 ათასი კაცია დაღუპული, ათ მილიონზე მეტი უკრაინელი ემიგრაციაშია, მილიონობით უკრაინელი საკუთარი ქვეყნის სივრცეში შიდა ემიგრაციაშია. ჩვენი პატარა საქართველო კარგი ფეხით მოსიარულე ერთ დღეში გაივლის, ამას ვერ გაუძლებს და საქართველო განადგურდება. ამიტომ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ ის პოლიტიკა, რომელსაც საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება 2022 წლის 24 თებერვლიდან დღევანდელ დღემდე ახორციელებს იუველურული სიზუსტით, ამას შეემატება ბალანსირების პოლიტიკა“, - აღნიშნა ედიშერ გვენეტაძემ.

რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების გახშირებულ განცხადებას ნატოსკენ სწრაფვასთან დაკავშირებით და მსგავსი განცხადებებით რუსეთის შესაძლო გაღიზიანებას, ამის შესახებ ედიშერ გვენეტაძე ამბობს, რომ სხვა რა უნდა თქვას ჩვენმა ხელისუფლებამ? ეს ხომ პოლიტიკაა, მით უმეტეს, დღე დღეზე კანდიდატის სტატუსი უნდა მოგვცენ.

„ამდენი წლის განმავლობაში ვყვიროდით „ნატო-ნატო“ და ახლა უცხად უარი ვთქვამთ ნატოზე? ეს დიპლომატია არ იქნება. დიპლომატია არის ის, რასაც ჩვენი ხელისუფლება ახორციელებს, ანუ ბალანსირების პოლიტიკა. სწორედ ბალანსირების პოლიტიკამ მოიყვანა საქართველო დღევანდელ დღემდე. დარწმუნებული ვარ, ბალანსირების გენერალური კოლის მეშვეობით საქართველო მომავალშიც გადაარჩება როგორც ფიზიკურად, ისე სახელმწიფოებრივად“, - განმარტავს ედიშერ გვენეტაძე ჩვენთან საუბრისას.

მანანა ნოზაძე

## ლეონიდ ჯიჩა: აშშ მსოფლიოსთვის უფრო სხვადასხვადასა...



პრეზიდენტის ყოფილი პრეზიდენტი ლეონიდ ჯიჩა აცხადებს, რომ აშშ მსოფლიოსთვის უფრო სხვადასხვადასა... ამის შესახებ განცხადება ლეონიდ ჯიჩამ ბრიტანულ გამოცემა „გარდნიანთან“ ინტერვიუში გააკეთა. მისივე თქმით, პუტინის მიერ 2022 წელს უკრაინის წინააღმდეგ ჩამოწყებული ფართომასშტაბიანი ომი ნაწილობრივ დასავლეთის მიერ დაშვებული შეცდომების გამო იქცა. კუჩმა თქმით, პუტინმა ნატოდ დაანახ მსოფლიოს, რომ ძალის გამოყენებით აპირებს რუსეთის საზღვრების გაფართოებას, როდესაც 2008 წელს გააგზავნა ჯარი მეზობელ საქართველოში, რასაც მოჰყვა ცირიხის ანექსია. უკრაინის ყოფილი პრეზიდენტის თქმით, მას იმედი აქვს, რომ აშშ შეძლებს უკრაინის მხარდაჭერის გაგრძელებას. „აშშ-მა დაკარგა ავღანეთი. უკრაინის მხარეში კი ნიშნავს, რომ აშშ მთელ მსოფლიოში სხვის დაკარგვას“, - განაცხადა ჯიჩამ.

## არსებობს ბაჩკარა პრეზიდენტს

მედიკოსი სისხლის სამართლის საქმე, ვერც დაწინაურების განცხადებები და სხვა სისულელე ვერ შემაჩერებს, - ამის შესახებ უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის ყოფილი მენეჯერი, ალექსეი არესტოვიჩმა განაცხადა. არესტოვიჩის თქმით, ორი პროექტი უნდა დასრულდეს, რომლებიც საქართველოს მის მუდმივ ყოფნას დასაფლავებენ. „პირველი არის არაფორმალური პოლიტიკური პროექტი დასავლეთში მოსახლეობის ჩამოყალიბების მიზნით. მე ამას დავარქმევდი თვალის ახელის პროექტს; მეორე პროექტი არის წმინდა თავდაცვითი, მაგ-



რამ როცა მომჩივდება, საჯაროდ გამოცხადდება. როგორც კი ეს ყველაფერი დასრულდება, უკრაინაში დავბრუნდებით და ვერც ერთი სისხლის სამართლის საქმე, ვერც დანიშნული განცხადება და სხვა სისულელე ვერ შემაჩერებს“, - განაცხადა ალექსეი არესტოვიჩმა.

მანამდე უკრაინის ეროვნული თავდაცვისა და უსაფრთხოების სამსახურის მდივანმა, ალექსეი დანილოვმა მიანიშნა, რომ მოსკოვს შეუძლია, არესტოვიჩი გამოიყენოს უკრაინის წინააღმდეგ საინფორმაციო ომში.

## სლოვაკეთი პოლონეთთან საზღვარს ბლოკავს

სლოვაკეთის საგზაო ტრანსპორტის გაერთიანება UNAS-ი უკრაინის საზღვართან ბლოკირებას ადგილობრივი დროით 15:00 საათიდან განახლებს. როგორც მედიცინა, სლოვაკეთის ტერიტორიაზე მგზავრთა გადაადგილება არ შეიძლება.

მედიის ცნობით, სლოვაკეთის საგზაო ტრანსპორტის გაერთიანების მთავარი მოთხოვნა უკრაინელი გადაზიდვებისთვის სალიცენზიო ნებართვის აღდგენაა. შეგახსენებთ, 6 ნოემბრიდან უკრაინის საზღვართან გადასასვლელ პუნქტებს ბლოკავს პოლონელი გადაზიდვები. მათი მთავარი მოთხოვნა უკრაინული გადაზიდვებისთვის სალიცენზიო ნებართვის აღდგენაა. ამასთან, ევროკავშირის განცხადება, რომ უკრაინელი სატვირთო მანქანების მძღოლებისთვის სანებართვო სისტემის აღდგენას ეწინააღმდეგება.

## ბრიუსელის მოსახლეობა უკრაინელების ხარჯზე იზრდება

ბრიუსელის სტატისტიკისა და ანალიზის ინსტიტუტი „ფოკუს 61“-ის მონაცემების თანახმად, 2022 წელს ბრიუსელის რეგიონში, პირველად 2007-2012 წლების დემოგრაფიული მუშის შემდეგ, მოსახლეობის სწრაფი ზრდა დადასტურდა: ბელგიის დედაქალაქის მოსახლეობის რაოდენობა 18,538 ადამიანი (1,52%) გაიზარდა. მოსახლეობის რიცხვი ბრიუსელის 19-ვე კომუნაში გაიზარდა. მატების ყველაზე მაღალი ტემპი თავად ქალაქ ბრიუსელშია (+2,9%). შემდეგ მოდიან კოკელმენის, ანდერლექტის, ეტერბეკისა და ვოლუვე-სენტ-ლამბერტის კო-

მუნები, სადაც ზრდამ 2%-ს გადააჭარბა. ბრიუსელში საზღვარგარეთიდან ჩამოსვლასა და ბრიუსელის მოსახლეობის საზღვარგარეთ გადინებას შორის ასეთი დიდი სხვაობა არასდროს ყოფილა მას შემდეგ, რაც 1989 წელს ეს ადმინისტრაციული რეგიონი შეიქმნა - 2022 წელს ჩამოსვლელთა და წამსვლელთა შორის რაოდენობრივმა სხვაობამ 31 600 ადამიანი შეადგინა, რა თქმა უნდა, ჩამოსვლელთა სასარგებლოდ. ასეთი ძალიან მაღალი სხვაობა, უპირველეს ყოვლისა, უკრაინელი ლტოლვილების დიდი ნაკადით აისხნება, რომლებიც უკრაინაში რუსეთის შეჭრის შემდეგ ევროკავშირის მიერ ამოქმედებული დროებითი დაცვის მექანიზმებით სარგებლობენ. 2023 წლის 1 იანვარს, ბრიუსელის რეგიონში მცხოვრები უკრაინელების რაოდენობა ხუთჯერ მეტი იყო, წინა წელთან შედარებით.

## გერმანია უკრაინაში ომის „გაყინვის“ ნინააღმდეგია

გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრის, ანალენა ბერბოლის განცხადებით, გერმანია უკრაინაში ომის „გაყინვის“ წინააღმდეგია.


როგორც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი ამბობს, რუსეთის პრეზიდენტის განცხადებები მიუთითებს, რომ რუსეთი არა მხოლოდ უკრაინის აღმოსავლეთ ნაწილს, არამედ მთელი უკრაინისა და მისი ხალხის დაქვემდებარებას ცდილობს.

„ამიტომ კონფლიქტის გაყინვა იქნება და უკრაინის მხრიდან უარის თქმა არა მხოლოდ ოკუპირებულ ტერიტორიებსა და იქ მცხოვრებ ადამიანებზე, არამედ რუსეთის მხრიდან ძალადობის მთელი ქვეყნის ტერიტორიაზე გავრცელებას გამოიწვევს“, - წერს საგარეო სტატიაში გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი.

ანალენა ბერბოლის თქმით, კონფლიქტის გაყინვის შემთხვევაში, რუსეთს ექნებოდა სამხედრო ძალის აღდგენის შესაძლებლობა და რუსეთი ადრე თუ გვიან, უფრო ხისტად დაიწყებს მოქმედებას, მათ შორის შესაძლოა, ის გასცდეს უკრაინის ტერიტორიას.



# ფაზისში იწყება საქართველოს საზღვაო ისტორია



**(ამირეზი ბერიძე)** ფოთელთა საინიცი-  
ატივო კვლევა **კუმბერ კე-  
მულარიას** ხელმძღვანელობით რამდენიმე წელი  
აყენებს საკითხს, ადგილობრივ და ცენტრალ-  
ურ ხელისუფლების წინაშე საქართველოს  
საზღვაო მემკვიდრეობის მშენებლობის შესახებ.  
ფოთი – ფაზისის მსოფლიო ტურისტულ  
რუკაზე უნდა დამკვიდრდეს, როგორც „აზრე-  
შუმის გზის“ ფორუმსტი, კოლხეთის უძვე-  
ლესი კულტურულ-საგანმანათლებლო, საზღ-  
ვაო-საგაჭრო და ეკონომიკური ცენტრი. ამ  
დიდი ისტორიული მემკვიდრეობის წარმო-  
საჩვენად დიდი მუშაობა გასწია „ფაზისის“ სა-  
ერთ-სამეცნიერო აკადემიამ, მისი პრეზიდენტის  
(აქ გარდაცვლილი) ნუგზარ ნადარაიას  
ხელმძღვანელობით.  
ამ დიდ საქმეს უპირველესად, ფოთელ-

სხვათა ნამოღვაწის გასაჯაროება. კოლ-  
ხური კულტურის ტრანსკონტინენტურ მნიშ-  
ვნელობას აღნიშნავენ მეცნიერები: ვ. ჰუმ-  
ბოლდტი, პ. კლაუვე, პ. ჰომერი, ნ. მარი,  
პ. შტახენმაიერი, ა. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, გ.  
მელიქიშვილი, ზ. გამსახურდია, პ. ძემბი და  
სხვები. მათ ნაშრომების მიხედვით მეცნიერმა  
გ. კვაშილაძემ შეადგინა კავკასიური მოდგ-  
მის განსახლების არეალის რუკა სამ კონ-  
ტინენტზე (აზია, აფრიკა, ევროპა). ძვ. წელ-  
თაღრიცხვის I-VII ათასწლეულების პირველი  
ნახევრისთვის.

სხვადასხვა პერიოდის მეცნიერთაგან კოლ-  
ხები სახელდებიან წარღვნილად ციცილი-  
ზაისის მატარებლებად. ამერიკის კონტინენტზე  
კოლხეთის ატლანტიკურ ფესვებზე მიუთითებს  
ფილადელფიელი მეცნიერი ივანტის დო-  
ნელი (1831-1901 წწ.), რომელიც  
ახვადებს: „მაია არის ატლანტიდან  
მოსული ტომის კოლხის კულტუ-  
რული მემკვიდრე“ (1882 წელს მან  
გამოსცა წიგნი „ატლანტიდა“).

ამავე აზრს ანეთარებს თავის  
ნაწარმოებში ამერიკაში პირველი ევ-  
როპელი მისიონის წინამძღვარი დი-  
ეგო დელანდა (1524-1576 წწ.). ის  
ეყრდნობა მაიას კოლექსს.

ერის მამად წოდებული, აშშ-ს  
ერთ-ერთი თანადამფუძნებელი გენ-  
უამინ ფრანკლინი (1709-1790), რომლის პორ-  
ტრეტი გამოასახულია, 100 დოლარიან კუპი-  
ურაზე, აღნიშნავს: „ამერიკის პირველი მო-  
ახალშენები არიან კოლხები“.

კოლხეთი, ოქრომრავალ ქვეყნად, კოლ-  
ხები კი სამყაროს უპირველეს კარტოგრაფებად  
და ნაოსნებად სახელდებიან. ჩვენ მიგვაჩნია,  
რომ კოლხთა საზღვაო ხელოვნება იმსახუ-  
რებს მერ პრაპაგანდას და ვიზუალიზაციას,  
ამ მიზნით 2020 წელს ჩვენს მიერ ინიცირე-  
ბული იყო ფოთში საქართველოს საზღვაო  
მემკვიდრეობის მშენებლობა. ამ იდეამ  
მოიპოვა მხარდაჭერა: საქართველოს მთავ-  
რობა მიესალმება სამუშაო სივრცის გაფარ-  
თობას საქართველოში.

შედგენილია ფოთში საქართველოს საზღ-  
ვაო მემკვიდრეობის კომპლექსის მშენებლობის სი-  
ტუაციური გეგმა.

სამუშაო კომპლექსის ადგილმდებარე-  
ობად შერჩეულია მდ. რიონის და შავი ზღვის  
შეერთების სივრცე, მარჯვენა და მარცხენა  
სანაპიროები, რომლებიც ერთმანეთთან ერ-  
თდებოდა ხიდით. მარჯვენა სანაპიროზე საზღ-  
ვაო შექერას (რომელიც თავის ძირითად ფუნ-  
ქციასთან ერთად ასრულებს სამუშაო სივ-

## საქართველოს საზღვაო მემკვიდრეობა – წარსულისა და აწმყოს გადაკვეთის ადგილი. საზღვაო მემკვიდრეობის მენეჯლობასთან დაკავშირებით ფოთელთა მხარდაჭერას თხოვან საქართველოს პრემიერ მინისტრს, ბატონ ირაკლი ღარიბაშვილს

რცის ფუნქციასაც), ზონაში დომინანტი იქნება  
გემი „არგოს“ მოდელი 1:1 მასშტაბით ღია  
სივრცეში.

არქიტექტორების მიერ შემოთავაზებულ  
სივრცეში განთავსდება მრავალი მცურავი სა-  
შუალებების მკვეთი, დავასახელებთ რამდენიმე  
მათგანს:

– ქრისტიანული კოლუმბის ფლაგმანი გემის  
„სანტა-მარია“ მკვეთი, რომელზედაც ეკიპაჟში  
სიით მე-8 ნომრად ირიცხებოდა კოლხი მებღ-  
ვაური გორგი მალაშხია.

– ფოთში აგებული საიალქო გემის „ფა-  
ზის“-ს მკვეთი, რომელმაც 1979 წელს წარ-  
მატებით იმოგზაურა დელამიჩის გარშემო, მის  
ინტერნაციონალურ ეკიპაჟში ირიცხებოდა ქარ-  
თველი მებღვაური ჯ. ცომაია.

– ფოთში აგებული და მსოფლიოში ერთ-  
ერთი საუკეთესო წყალქვეშა ფრთიანი კატარ-  
ღების „კოლხიდას“ და „კომეტას“ მკვეთები.

– გემით აღნიშნულს გარდა დეტალურ  
დაგეგმვების გეგმით გათვალისწინებუ-  
ლია მრავალი სამდინარო, საზღვაო და სა-  
ოკეანო (სამზავრო, ნავთობშიდი, სამხედრო  
და სპორტული) მცურავი საშუალებების მა-  
კეტების განთავსება.

მარცხენა სანაპიროზე დომინანტი იქნე-  
ბა სამუშაო კომპლექსის მთავარი შენობა,  
რომლის სივრცეში განთავსდება კოლხეთის  
მეფის აიეტის დარბაზის ასლი (ინსპირაცი-  
ას წარმოადგენს მოსკოვის ა.ს. პუშკინის სა-  
ხელობის სახეობის ხელოვნების მუზეუმიდან  
სივრცის ის ნაწილი, სადაც რეალურ განზო-  
მილებში არის წარმოდგენილი იდენტური  
მასალებით ნაშენი რომის იმპერატორების  
დარბაზის ასლი. აქვე აღინიშნავთ, რომ რომის  
იმპერიის დაარსება, აიეტის ეპოქას 900 წლით  
ჩამორჩება)

ამავე სივრცეში უნდა იყოს წარმოდგენილი  
მხატვრული ნაწარმოებები (ორიგინალები ან  
ასლები), თემაზე „კოლხი მებღვაურები“, აგ-  
რეთვე ყრუ-მუნჯი მხატვრის მ. ხუბუას ათე-  
ულობით ნახატი თემაზე: „კოლხი მებღვაუ-  
რები ატლანტიდიდან“.

იქვე უნდა იყოს წარმოდგენილი კინო-კლუ-  
ბი „მედია“, სადაც ნახევრები იქნება „ოქროს



საწმისის“ თემაზე გადაღებული ფილმები, კად-  
რები კოლხი კორიზანტებისა და ქურუმების  
კვლის შესახებ მსოფლიოს სხვადასხვა კონ-  
ტინენტზე. აგრეთვე კადრები ცნობილი მეც-  
ნიერის ტიმ სევერინის 1984 წლის არგონაუ-  
ტების ნავსაფრებზე მოგზაურობის შესახებ, მო-  
დელირებული გემის „არგოს“ ინტერნაციო-  
ნალური ეკიპაჟით, (მათ შორის ირიცხებოდნენ  
ქართველი პროფესიონალი მებღვაურები –  
ვ. მერაია და ჯ. ცომაია).

სამუშაო კომპლექსის ერთ-ერთი ობი-  
ექტი უნდა იყოს მოდელირებულ გარემოში  
აგებული აპარტამენტი – „ერთი დღე ატლან-  
ტიდაში“, შესაბამისი ინფრასტრუქტურით, მათ  
შორის მცირე ნავსაყუდელი რიონის მარ-  
ცხენა სანაპიროს გასწვრივ, საიდანაც შესაძლე-  
ბელი იქნება არგონაუტების გზის ტურისტულ  
მარშრუტებად დაგეგმვა შავი ზღვისა და რი-  
ონის სივრცეში.

1748 წელს საფრანგეთის მეფე ლუდო-  
ვიკო XV-ის მზანდობით დაარსდა საფრანგეთის  
საზღვაო ფლოტის მუზეუმი. დღესათვის ამ  
მუზეუმს გააჩნია 8 ფილიალი ათასობით სა-  
მუშაო ექსპონატებით, ასეთივე მდგომარე-  
ობაა ევროპის სხვა საზღვაო ქვეყნებში.

სამწუხაროდ, საქართველოში ერთ-ერთი  
უპირველესი საზღვაო ისტორიის ქვეყანაში  
საზღვაო მემკვიდრეობა არ არსებობს.

### – ბატონო კუმბერ, ცხადია, ასეთი დი- დი მემკვიდრეობის განხორციელება დიდ თან- ხმობას არის დაკავშირებული, რამდენად რეალურია მისი განხორციელება?

– დარწმუნებული ვართ, რომ ფოთში სა-  
ქართველოს საზღვაო მემკვიდრეობის-  
თვის არსებობს რეალური საშინაო და საგა-  
რეო პირობები. ამ იდეას აქვს ფართო სა-  
ზოგადოებრივი მხარდაჭერა, მათ შორის სა-  
ქართველოს მთავრობის და ფოთის მუნიცი-  
პალიტეტის მხრიდანაც. ის სრულ სინქრონი-  
ზაციაშია მულტიკულტურულ და მულტიეთნიკურ  
ღირებულებებთან, მისი განხორციელება ხელს  
შეუწყობს ისტორიის, კულტურის როლის  
ზრდას, რეგიონის პოლიტიკურ, ეკონომიკურ  
და სოციალურ განვითარებას, მათ შორის ტუ-  
რისტული ეკონომიკის განვითარებას.

იმედი გვაქვს, ჩვენი პატრიოტი პრემიე-  
რი, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილი ყველა-  
ფერს გააკეთებს საქართველოს კულტურის  
და ცივილიზაციის, საზღვაო ხელოვნების, რო-  
გორც მსოფლიო მემკვიდრეობის ტრანსკონ-  
ტინენტური მისიის წარმოჩენისთვის. ეს იქ-  
ნება დიდი ნახტომი წარსულიდან – მომავ-  
ლისკენ, ეს იქნება საუკუნის პროექტი.

### – გისურვებთ წარმატებებს!

**ზურაბ აბრალავა,**  
გამეთ „ნიკოლაძის გზით“ რედაქტორი.  
საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტი,  
ფოთის საპატიო მოქალაქე,  
2023 წელი, დეკემბერი  
(ტელ: 568 41 71 58)



ფესტონ ლისკოს ასლი.

თა მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდება.  
კუმბერ კემულარია უახლოეს პერიოდში გეგ-  
მავს ქალაქის საკრებულოს წინაშე ვრცელი  
მოსხენებით წარსდგეს. იმედია, მხარს დაუ-  
ჭერენ ამ ინიციატივას.

მეცნიერება, ფოთელების თაოსნობას სა-  
ქართველოს პარლამენტში წარმოაჩენს ახალ-  
გაზრდა მაჟორიტარი დეპუტატი ბატონი გი-  
ორგი ხახუბია!


### დღეს გვესაუბრება ბატონი **პუმბერ კე- მულარია:**

– ბატონო კუმბერ, რა ისტორიული პე-  
რიოდებში ადასტურებთ საქართველოს  
საზღვაო წარსულის უკვდავობის აუცილებ-  
ლობას, მის კავშირს, თანაარსებობას თა-  
ნამედროვეობასთან?

– ყველაფერი უნდა გაკეთდეს დიდი წარ-  
სულისა და დღევანდლობის თანაარსე-  
ბობისთვის. საქართველოს საზღვაო სივრ-  
ცის დიდი ნაწილი დაკარგულია, სამწუხაროდ,  
მისი მნიშვნელობა არც მანამდე ესმოდათ,  
დღეს ზღვის ნაპირის 55 პროცენტს „დამო-  
უკიდებელი აფხაზები“ აკონტროლებენ და  
კოლხურ წყლებში არ გვიშვებენ!

თუნდაც აიტომაც უდიდესი მნიშვნელო-  
ბა ენიჭება საქართველოს, საზღვაო წარსუ-  
ლის წარმოჩენას, საქართველოს საზღვაო მე-  
მკვიდრეობის მშენებლობას, რითაც უნდა მოხდეს  
მენტალური დამკვიდრება, ქართველთა ცნო-  
ბიერების გაღვივება ყველა დონეზე, ყველა  
პარამეტრით.

XXI საუკუნე მსოფლიოს კულტურული სა-  
განძობის უძველესი შრის – კოლხური კულ-  
ტურის ადრე უცნობი ფაქტების გამოჩენი-  
ლებით დაიწყო – მეგრულ ენაზე „ფესტონის  
დისკოს“ და გრაფიკის წარწერის ამოკითხვა,  
საყდრისის მსოფლიოს პირველი ოქროს სა-  
ბადოს კოლხური კულტურის ძეგლად აღი-  
არება, მეგრული ენის (ლექსიკური მარაგით  
ერთ მილიარდ 447 მილიონი სიტყვა) ლექ-  
სიკონის კომპიუტერული ვერსიის შექმნა, უახ-  
ლესი პერიოდის მეცნიერების გ. კვაშილა-  
ვას, ვ. ფიფიას, ვ. მოსტერის, მ. ძაძამიას და



„თანამედროვე არბო“ საქართველოს ნაპირთან, 1984 წ.

დამპყრობის დასაწყისში ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ვიკტორ ნოზაძის საზოგადოების თაოსნობით აღინიშნა ვიკტორ ნოზაძის დაბადებიდან 130 წლისთავი, რომელსაც 5 და 7 დეკემბერს მიეძღვნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პროფესორ-მასწავლებელთა და სტუდენტთა სამეცნიერო კონფერენცია; 6 დეკემბერს მშობლიურმა სახსრების მუნიციპალიტეტის ვიკტორ ნოზაძის სახელობის სოფელ მოძვის საჯარო სკოლაში, სადაც არსებობს ვიკტორ ნოზაძის მუზეუმი, პატივი მიიხდინა ღირსეულ მამულიშვილს, თანასოფელს, ვიკტორ ნოზაძეს. სკოლაში გამართულ შეხვედრაზე საჯარო ლექციითა და სიტყვებით წარსდგნენ ვიკტორ ნოზაძის საზოგადოების თავმჯდომარე სიმონ ნოზაძე, საზოგადოების წევრი და ვიკტორ ნოზაძის თვანის შთამომავალი შაბაპა ნოზაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ნესტან სულაზა, პოეტი მრძელპედაგოგი, ფილოლოგი მანანა სიტყვიანი, ნოზაძეთა საგვარეულოს სხვა წარმომადგენლები. მოძვის სკოლის მოსწავლეებმა წარმოადგინეს მონტაჟი ვიკტორ ნოზაძის სამეცნიერო ნაშრომების მიხედვით, შეასრულეს სიმღერები, რითიც გამოხატეს თავიანთი პატივისცემა და სიყვარული დიდი მეცნიერის მიმართ.

7 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ქართული ემიგრაციის მუზეუმში ვიკტორ ნოზაძისადმი მიძღვნილი გამოფენა. დღეს ვთავაზობთ პროფესორ ნესტან სულაზას წერილს დიდი ქართველი პუბლიცისტის, რედაქტორისა და პოპულარული სამეცნიერო წიგნების ავტორის ვიკტორ ნოზაძის შესახებ.

სპარტაკ ქოჯულია



ნესტან სულაზა:



პუბლიცისტი, რედაქტორი, მეცნიერი, დიდი რუსთველოლოგი

ვიკტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური მოღვაწეობის შესახებ

თონი“ 1966 წელს გამოქვეყნებული მისი ესეე „შოთა რუსთაველი“, რომელშიც რუსთაველი ქართველი ერისაგან განუყოფელ ნაწილად აღიქვა:

„სიყვარული, პოეზია და გალობა. სილამაზე და შევნიერება, კეთილობა და მოწყალება, მეგობრობა და ძმობა, სამართლიანობა და მისთვის თავდადება, მისთვის თავგანწირვა, სამშობლოს თავისუფლება, თანასწორობა ხალხთა, ყველაფერი ეს გარდაუვალია, წარუვალი, მუდმივი. - ყველაფერი ეს საკაცობრივია. საერთაშორისო... ამას უგალობ შენ! და ქართველი ერი ასეთი წარმტაცი გალობით ტკბება! შენი მონიშნულელი გალობითა და მნძოლის მიზნებით შენ მასთან ერთად საერთაშორისო განათლებული საზოგადოების წრეში იმყოფები. ქართველი ერი სიყვარულითა და სიხალისით ინაწილებს და თავისად მიიჩნევს შენ მოძღვრებას. შენ მრძანდები მისი უზენაესი მოძღვარი! და ქართველი ერი შენთან ერთად არის ამ საკაცობრივ, საერთაშორისო - ნატრიონისათვის მრძალში და მხარ და მხარ მიეყვება შენ! და შენთან ერთად დარწმუნებული არის, რომ ეს ნატურა ერთ დღეს სინამდვილედ გარდაიქცევა! ამიტომ მრძანდები შენ და ქართველი ერი განუყოფელი, განუშორებელი და განუყრელი! თქვენ იცოცხლებთ ერთად მარად ჟამს! იცოცხლებთ უკუნითი უკუნისამდე!.. სანამ მზე მგებოს! და ეს მსოფლიო ცოცხლობს!..“

მიუხედავად იმისა, რომ ვიკტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური ნაშრომები საქართველომდე მხოლოდ მცირე რაოდენობით აღწევდა, ჩვენი სამეცნიერო საზოგადოება მათ გამოქვეყნებისთანავე, XX საუკუნის 50-იანი წლებიდან იცნობდა. ვიკტორ ნოზაძემ 30 წელზე მეტი ხნის განმავლობაში მართლმართლ იმუშავა საკმაოდ მძიმე პირობებში, შედეგად ქართველ ერს დაუტოვა ექვსი რუსთველოლოგიური მონოგრაფია და რამდენიმე დაუმთავრებელი ნაშრომი. ესენია: ვეფხისტყაოსნის ფერთამეტყველება, ბუენოს აირესი, 1953; ვეფხისტყაოსნის ვარსკვლავთმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957; ვეფხისტყაოსნის მისამეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957; ვეფხისტყაოსნის საზოგადოებრივმეტყველება, სანტიაგო დე ჩილე, 1957; ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება, პარიზი, 1963; ვეფხისტყაოსნის მიჯნურთმეტყველება, პარიზი, 1975. „ვეფხისტყაოსნის“ სიმრძინის მტყველების, გულთმეტყველების, ტანთმეტყველების, ფსიქოლოგიის მტყველებისა და სხვათა გამოქვეყნებული ნაშრომების უდიდესი ნაწილი გამოცემას ელოდება.

ვიკტორ ნოზაძის წიგნები საზღვარგარეთ გამოცემისთანავე ბიბლიოგრაფიულ იმპიათობად იქცა მათი ტირაჟის გამო. იმპიათობა იყო საქართველოში, რადგან მძიმე იდეოლოგიურ-პოლიტიკური ვითარების გამო ისინი მხოლოდ მცირე რაოდენობით შექმნილთა პირად ბიბლიოთეკასა და რამდენიმე სახელმწიფო, ცენტრალურ ბიბლიოთეკაში ინახებოდა. ამიტომ ნოზაძეთა საგვარეულომ, ვიკტორ ნოზაძის საზოგადო-

ებამ, განიზრახა მისი შრომების მრავალტომეულის ხელახლა გამოცემა, რასაც, იმედიან, დაემატება მის არქივში დარჩენილი მასალები, რომელთაგან ვიკტორ ნოზაძის მიერ ზოგი ისე იყო დაწერილი, რომ ცოტა აკლდა გამოსაცემად მომზადებას, ხოლო ნაწილი ფრაგმენტული და გეგმა-პროსპექტების სახითაა დაცული, მაგრამ არსებითად მაინც დამუშავების შთაბეჭდილებას ტოვებს და მომავალ მკვლევარებს სხვადასხვა პრობლემების დამუშავებისას წინასწარი სამუშაო მასალა მოპოვებული დაუხვდებათ.

სალეო აღნიშვნის ღირსია ვიკტორ ნოზაძის რედაქტორობით პარიზში 1966 წელს რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისადმი მიძღვნილი ჟურნალ „პავსანისის“ საგანგებო ტომის გამოცემა, რომელიც ვიკტორ ნოზაძემ რამდენიმე რუსთველოლოგიური სტატიის გამოცემაზე. გამოცემაში ნოზაძის რედაქტორობით უდიდესი ნაწილი შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტში გამოცემად მოგზადდა გურამ ზარაძის ხელმძღვანელობით 1999-2005 წლებში.

„ვიკტორ ნოზაძის საზოგადოების“ მიერ უკვე გამოცემულია ოთხი ტომი: „ვეფხისტყაოსნის“ ფერთამეტყველება, „ვეფხისტყაოსნის“ ვარსკვლავთმეტყველება, „ვეფხისტყაოსნის“ მისამეტყველება, „ვეფხისტყაოსნის“ საზოგადოებრივმეტყველება. მათგან სამი ტომი მომზადდა გურამ შარაძის რედაქტორობით, მეოთხე ტომი გამოსაცემად მოამზადა თამაზ ტყემალაძემ. ამჟამად გამოსაცემად მომზადებულია „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“. ვიკტორ ნოზაძის ეს მონოგრაფია მოცუ-

ვითკორ ნოზაძემ შესანიშნავი განათლება მიიღო, სწავლობდა მოსკოვის უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დასრულების შემდეგ 1917-1920 წლებში თბილისში უწინააღმდეგეთების მუშაობაში მონაწილეობდა, ერთხანს იყო „საქართველოს რესპუბლიკის“ თანარედაქტორი. 1920 წელს კი საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ დასავლეთ ევროპაში წარგზავნა 70 ახალგაზრდასთან ერთად სწავლის გასაგრძელებლად, რის შემდეგაც იგი სამშობლოში აღარ დაბრუნებულა. საზღვარგარეთ მეცნიერულთან ერთად ერთხანს უწინააღმდეგეთურ საქმიანობას ეწეოდა და საკმაოდ მრავალრიცხოვანი საზოგადოებრივ-პოლიტიკური და პუბლიცისტური სტატიები გამოაქვეყნა. მისთვის მთავარი მაინც სამეცნიერო მოღვაწეობა იყო და უდიდესი კვალიც დატოვა რუსთველოლოგიურ მეცნიერებაში. რუსთველოლოგიურ პრობლემებზე მუშაობა ვიკტორ ნოზაძემ მეორე მსოფლიო ომის პერიოდში დაიწყო ბერლინში. მეცნიერს ცხოვრება უწევდა გერმანიაში, ავსტრიაში, არგენტინაში, ჩილეში, მრავალი ახალი, ესპანეთში, ამერიკის შეერთებულ შტატებში; ბოლოს თავისი ძმის, გიორგის, ოჯახთან ერთად დასახლდა საფრანგეთში, პარიზში, ქართველთა სამეცნიერო ლევილში, სადაც მოწყოლილი ჰქონდა ქართული სტამბა და სამუშაო კაბინეტი. ყველგან, სადაც უწევდა ცხოვრება, მუდმივად მუშაობდა „ვეფხისტყაოსნის“ განკითხვის“ ტომებზე, რომლებიც რუსთველოლოგიური პრობლემების ფართო სპექტრით შესწავლას ისახავდა მიზნად და ქართველ ერს საუნჯედ დაუტოვა.

იგი განსაკუთრებული სიყვარულითა და ინტენსივობით იკვლევდა რუსთველოლოგიურ პრობლემებს, ხოლო თუ რა იყო მისთვის რუსთაველი და მისი პოემა, ყველაზე უკეთ გვახსენებს უწინააღმდეგეთურ „პავსანის-



ვიკტორ ნოზაძის დაბადების 130 წლისთავისადმი მიძღვნილი შეხვედრის მონაწილეები საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ მოძვის ვიკტორ ნოზაძის სახელობის საჯარო სკოლის პედაგოგებთან

ლომით ყველაზე დიდია, რადგან მასში რუსთველოლოგიური პრობლემების ყველაზე რთული, შოთა რუსთველისა და მისი პოემის, „ვეფხისტყაოსნის“, რელიგიურ-სარწმუნოებრივი და მსოფლმხედველობრივი საკითხებია გამოწვეულიყო გამოკვლეული.

ვიკტორ ნოზაძის მონოგრაფიების მნიშვნელობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ რუსთველოლოგიური პრობლემების ყველაზე მთავარ ვერსიას ერთი მკვლევარი მათ გვერდს ვერ აუვლის და თანამედროვე მკვლევარი, სხვაგვარად ერთად, ენციკლოპედიური ღირებულების მქონე მის შრომებში უთუოდ მიმართავს, მისგან ბევრს შეიძენს, ბევრს გამოადგება გზამკვლევადაც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კვლევით საქმიანობასთან ერთად მეცნიერი თავის წიგნებს საკუთარი ხელით აწყობდა და ბეჭდავდა, თვითონ იყო ასოტაშვილი და კორექტორიც, დამკვლავლონებელიცა და ამკინებელიც.

**ვიკტორ ნოზაძის მეცნიერულ მემკვიდრეობაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს მის უმთავრეს და უმნიშვნელოვანეს გამოკვლევას „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“, რომელიც 1963 წელს გამოქვეყნდა პარიზში. ეს მონოგრაფია ვიკტორ ნოზაძის რუსთველოლოგიური მემკვიდრეობაში გამოჩენილია მისი განსაკუთრებული ღირებულებით რუსთველოლოგიის ისტორიაში. მასში რუსთველოლოგიური პრობლემების ყველაზე რთული, რუსთველის აღმსარებლობისა და მისი პოემის რელიგიურ-სარწმუნოებრივი, მსოფლმხედველობრივი, ფილოსოფიური საკითხებია გამოწვეულიყო შესწავლილი და გამოკვლეული.**

რუსთველოლოგიური სამეცნიერო ლიტერატურაში შოთა რუსთველის მსოფლმხედველობის შესახებ კვლევის ადრეული ეტაპიდანვე გამოითქვა განსხვავებული შეხედულებები. საკითხის შესწავლას სამ საუკუნეზე მეტი ხნის ისტორია აქვს, იწყება ვახტანგ მეექვსის „თარგმანებიდან“, გრძელდება მთელი XIX-XX საუკუნეების განმავლობაში და გრძელდება ამჟამადაც. მხოლოდ ჩამონათვალიც კი საკმაოდ შთამბეჭდავით: მარი ბროსე, გ. გვაზავა, ნ. მარი, იუსტ. აბულაძე, პ. მირიანაშვილი, მ. რამიშვილი, ი. ფანცხავა, პ. ინგოროყვა, კ. კაპანელი, მ. ავალიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ალ. ბარამიძე, მ. ტროიშვილი, ნ. ყორღანიანი, გრ. ფერაძე, გ. ქიქოძე, ა. გაჩეჩილაძე, შ. ნუცუბიძე, ს. იორდანიშვილი, კ. ჭიჭინაძე, მ. გოგიბერიძე, ე. შიშხარიანი, გ. იმედაშვილი, გ. ნადირაძე, რ. სტივენსონი, მ. ბოურა, ე. კერძევაძე და სხვ. მათგან უნდა გამოიყოს კ. ვეკელიძე, რომელმაც სრულყოფილად ჩამოაყალიბა თავისი შეხედულებები რუსთველის აღმსარებლობისა და მისი პოემის რელიგიურ-სარწმუნოებრივი, ქრისტიანული მსოფლმხედველობრივი პრობლემების შესახებ.

მეცნიერთა ძირითადი ნაწილი რუსთველს ტრადიციულად ქრისტიანული მსოფლმხედველობის მქონედ მიიჩნევდა, ზოგი – მუსლიმობის, ზოგი – სოლანიზმის, ზოგი – პანთეიზმის, ზოგი – მანიქეველობის და ზოგიც სხვა რელიგიის მიმდევრად სახავდა. საკმაოდ დიდი დრო დასჭირდა რუსთველოლოგიაში იმ მართებული შეხედულების დამკვიდრებას, რომ რუსთველის მხატვრულ-ესთეტიკური და მსოფლმხედველობრივი ნაზრები, „ვეფხისტყაოსნის“ მემკვიდრეობითი ღირებულება ერთგულ ძირებს და ქრისტიანულ თვალთახედვას ემყარება, რამაც დასაბამი მისცა რუსთველის მსოფლმხედველობის შესწავლას ანტიკურ, შუა საუკუნეებისა თუ რენესანსის ეპოქის სხვადასხვა ფილოსოფიური სისტემებისა და საღვთისმეტყველო მსოფლმხედვის საფუძველზე. კვლევის ყოველ ეტაპზე აქტუალური იყო ქრისტიანული მსოფლმხედველობის საკითხები „ვეფხისტყაოსანში“. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული ადგილი უჭირავს კორნელი კეკელიძისა და 1932-1952 წლებში საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს (ციციქაძის) შრომებს (ნაშრომი „რუსთველის მსოფლმხედველობისათვის“ გვიან, რუსთველის საიუბილეო – 1966 წელს, გამოქვეყნდა კრებულში „შოთა რუსთველი“, ისტორიულ-ფილოსოფიური ძიებანი, კორნელი კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოცემა, გამომც.: „მეცნიერება“, თბილისი, 1966), რომლებშიც ქრისტიანული მსოფლმხედველობის არსებითი საკითხებია აღძრული.

შოთა რუსთველის მსოფლმხედველობის შესახებ გამოითქვა სხვადასხვა რიგის შეხედულებანი, მაგრამ ძირითადი მიხედვით ქრისტიანული აღმსარებლობისა და თხზულების ქრისტიანული მსოფლმხედველობის აღიარება იყო. შოთა რუსთველის მსოფლმხედველობის ქრისტიანულად აღქმაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ვიკტორ ნოზაძის მონოგრაფიას „ვეფხისტყაოსნის ღმრთისმეტყველება“. მასში მრავალმხრივადაა შესწავლილი რუსთველის პოემაში ღმერთის, სამყაროს, ადამიანის ქრისტიანული აღქმა, საღმრთო სახელთა სიმბოლიკა, დეტალი, პოემაში ნახსენები ცალკეული მიმდევრული პერსონაჟი და პასაჟი, დიდი ადგილი უჭირავს ყოველი პერსონაჟის ქმედების ქრისტიანული თვალთახედვით განხილვას, ყოველი ეპიზოდი, ლექსიკური ერთეული ქრისტიანული მსოფლმხედველობის კვალობაზე შეისწავლა და თითოეული საკითხი, რომელსაც შეეხო, ჯვარსახოვნებით წარმოაჩინა, რითაც ყოველი განსახილველი საკითხის ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ ჭრილში აღქმის საშუალება მისცა დაინტერესებულ მკითხველს.

**მონოგრაფიაში გამოკვეთილია ვიკტორ ნოზაძის შეხედულება რუსთველის მსოფლმხედველობის შესახებ: რუსთველი მას მიაჩნია ქრისტიანული აღმსარებლობის მქონე პოეტად და თვით პოემა – ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე დამყარებულ მხატვრულ ნაწარმოებად. შესაბამისად, მკვლევარმა დეტალურად განიხილა მანამდე არსებული თეორიები მუსლიმობის, მანიქეველობის, სოლანიზმის, პანთეიზმისა და სხვა მოძღვრებათა პოემაში არსებობის შესახებ, უარყო ისინი და დამატებით დაასაბუთა რუსთველის პოემაში ქრისტიანული მსოფლმხედველობის საფუძვლები, რითაც მომავალ მკვლევარებს თავისი მონოგრაფიის ძირითადი დებულებათა საფუძველზე ქრისტიანული მსოფლმხედველობის საკითხთა კვლევის პერსპექტივები დაუსახა.**

ცხადია, ყოველი იმ საკითხის განხილვა, რაც შოთა რუსთველის ქრისტიანული მსოფლმხედველობის წარმოსაჩენად იყო აუცილებელი, კიდევ მოითხოვდა კვლევას, რაც მისი მონოგრაფიის გამოქვეყნების შემდეგ გაგრძელდა, რაც, შეიძლება ითქვას, ვიკტორ ნოზაძის მიერ გამოთქმულ შეხედულებათა შედეგადაც ჩამოყალიბდა. შეიძლება დასახელდეს შ. ნუცუბიძის, შ. ხიდაშელის, ნ. ნათაძის, ს. ცაიშვილის, შ. ლლონტის, მ. მ. წერეთლის, მ. გიგინიშვილის, მ. გამსახურდიას, ე. ხინთიბის, შ. კარბელაშვილისა და სხვათა შრომები.

გ. ნოზაძემ მონოგრაფიაში გამოყო შემდეგი საკითხები: 1. სახელისათვის ღმერთისა; 2. სიკვდილისათვის; 3. საიქიოსათვის; 4. მიბლია და „ვეფხისტყაოსანში“; 5. „ვეფხისტყაოსანის“ ისლამი. თითოეული საკითხი, რომელსაც შეეხო და რომლის თაობაზე თავისი კომპეტენტური მოსაზრება გამოთქვა ვიკტორ ნოზაძემ, საფუძველიანდაა შესწავლილი მსოფლიოს ხალხთა მითოსური, ფილოსოფიური, რელიგიურ-საღვთისმეტყველო წყაროების გათვალისწინებით, ე. ი. ყოველი საკითხი განხილულია ვერტიკალურ-ჰორიზონტალურ ჭრილში. ნაშრომში წარმოჩენილია, ერთი მხრივ, მითოლოგიური, ფილოსოფიური, რელიგიური, ნაწილობრივ ესთეტიკური შეხედულებანი საღმრთო სახელთა შესახებ, რომლებიც შოთა რუსთველამდე იყო შემუშავებული საღვთისმეტყველო ლიტერატურაში და, მეორე მხრივ, საკუთრივ „ვეფხისტყაოსნის“ დებულებები და ცნებები, რომელთა სათავეები მის წინარეულტურულ ტრადიციებშია საძიებელი. მთელ მონოგრაფიას გასდევს დებულება იმის შესახებ, რომ რუსთველის მსოფლმხედველობის საფუძველი შორსაა ყოველგვარი შუამავიდან, ეკლექტიზმისაგან, სხვადასხვა მსოფლმხედველობაზე შერევისაგან; მსოფლმხედველობა „ვეფხისტყაოსანში“ არის ერთიანი და მთლიანი, „პოემის საზოგადოების მსოფლმხედველობის ხატი ქართველი განათლებული საზოგადოების მსოფლმხედველობისა. ამის უარყოფა „ვეფხისტყაოსნის“ ქართული საზოგადოების კულტურის არცოდნა და უარყოფა იქნებოდა“ (ნოზაძე, 1963: 35).

(დასასრული მორიგ ნომერი)

# სოლიდარობის ფონდი „ნანტიუსი“

**პაპისის უნივერსიტეტი ახლად დაარსებული სოლიდარობის ფონდი „ნანტიუსი“ კურთხევის დონისძიება გაიმართა, რომლის დამფუძნებელიც ტოლერანტობის საერთაშორისო ქომაგი და ისტორიის მცველი მონაზონი სილონიაა.**



**მონაზონი სილონია, უნივერსიტეტის პრეზიდენტი კახა მენგველია, მოღვაწეობის კი პროფესორი, „მედიასის“ დამფუძნებელი და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მედია პროგრამების მენეჯერი მარია გრასამია იყო.**

კურთხევაზე, ასევე, წარმოდგენილი იყო ახალი კონცერტალური ნამუშევარი, სამაჟური – ხიდი! – რომლის კონცეფციაც დაკავშირებულია საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესთან.

ლონისძიება გახსნა და დამსწრე აუდიტორიას მიესალმა კავკასიის უნივერსიტეტის პრეზიდენტი **კახა მენგველია**, მოღვაწეობის კი პროფესორი, „მედიასის“ დამფუძნებელი და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მედია პროგრამების მენეჯერი **მარია გრასამია** იყო.

ლონისძიება მიმდინარეობდა და ქართული უძველესი კულტურისთვის დასავლურ ცივილიზაციაში დამზრუნვის მნიშვნელობას. პრეზენტაციას ესწრებოდნენ ევროკავშირისა და უკრაინის საელჩოს წარმომადგენლები, ასევე, სხვა საპატიო სტუმრები.



**სამაჟური – ხიდი**

# ქართველები ჰაბის „ახალ ეკლესიაში“ აპერდენ

**საქართველოს მთავრობის მხარდაჭერით მიმდინარე ფესტივალზე „ევროპალია-საქართველო“ ჰოლანდიის ქალაქ შააგაში, შააგის სამეფო კონსერვატორიის, „ამარეს“, ორგანიზებით, ახალ ეკლესიაში (nieuwe kerk) ახალგაზრდა თაობის გამორჩეული ქართველი მუსიკოსების – სანდრო გვამყარისა და ცოტე ნაშვილის კონცერტი გაიმართა.**



ლონისძიებას დაესწრნენ საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრი თეა წულუკიანი და საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი ნიდერლანდების სამეფოში დავით სოლომონია. ახალგაზრდა ხელოვანებმა, რომლებმაც არაერთ წარმატებას მიაღწიეს და უკვე არიან აღიარებული განსაკუთრებულად ნიჭიერ მუსიკოსებად, ჰოლანდიელი მსმენელისთვის დასავლეთევროპული და ქართველი კლასიკოსი კომპოზიტორებისა და საკუთარი საავტორო ნაწარმოებები შესასრულეს. ნიდერლანდების სამეფოში სანდრო გვამყარის იცნობენ „ჰოლიუმ კლასიკში“ და 2022 წელს „კონცერტგეგმაში“ შესრულებული ნაწარმოებებით, ცოტე ნაშვილისთვის კი ეს ამ ქვეყანაში პირველი კონცერტი. კონცერტმა მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა. ფესტივალის მიმდინარეობისას ცოტე ნაშვილის სოლო, საავტორო კონცერტი გაიმართება ბრიუსელშიც, ნატიფი ხელოვნების ცენტრ „მობარში“ კონცერტის შემდეგ ნორჩი მუსიკოსი ბელგიელ ახალგაზრდა კომპოზიტორებს, მუსიკოსებსა და სამუსიკო სკოლების მოსწავლეებს შეხვდება და ისაუბრებს თავისი შემოქმედებისა და, ზოგადად, მუსიკის შესახებ.

საქართველოს მთავრობის მხარდაჭერითა და „ევროპალია-საქართველო“ ეგიდით, მიმდინარე წლის 4 ოქტომბრიდან 2024 წლის თებერვლის ჩათვლით, ბელგიასა და მის მოსაზღვრე ქვეყნებში 60-ამდე მასშტაბური და მრავალფეროვანი ღონისძიება იმართება.

# ნიკოლოზ თაბუკაშვილის პრემიის ღირსებები

**აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის მინისტრმა ნანა ბაგაშიძემ, სახელით ხელოვნების დარგში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემიის მისაპოვნებლად გამართული კონკურსის გამარჯვებული ალექსანდრე ხუბუა დააჯილდოვა.**

**ალექსანდრე ხუბუას** ფერწერული ნამუშევრისთვის „ურბანიზაცია“ ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემიის ღირსებას დაიჯილდოვდა და ფულადი ჯილდო გადაეცა. ასევე, კონკურსის ფინალისტებს, ფერმწერ ვერვიკ იოშაშვილს უსათაურო ნამუშევრისთვის და მოქანდაკე ნინო თალავაძეს ნამუშევრისთვის „სულის მეთამოფობა“ ფასიანი საჩუქრები და თაიგულები გადაეცათ.

აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს მიერ, ნიკოლოზ თაბუკაშვილის სახელობის პრემიის მოსაპოვნებლად გამოცხადებულ კონკურსში წარმოდგენილ ნამუშევრებს, დარგის სპეციალისტებისა და ექსპერტებისგან შემდგარი კომისია აფასებს და პრემია გაიცემა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების დარგში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისა და ნაყოფიერი შემოქმედებითი მოღვაწეობისთვის.





# ლიბერალიზმის და მისი განხორციელების აეთიკა

## შატლის დიპლომატია - Shuttle diplomacy

დიპლომატიასა და საერთაშორისო ურთიერთობებში, შატლის დიპლომატია (shuttle us - შატლის ავტობუსი წარმოადგენს სატრანსპორტო საშუალებას, რომელიც უმოკლესი მარშრუტით, წინ და უკან, სწრაფად და გაუჩერებელი მოძრაობის გარეშე შორის) წარმოადგენს ავტორიტეტული, შუამავალი მხარის სწრაფ მოქმედებას, როდესაც ის მრავალჯერად ვიზიტებს ახორციელებს, როგორც წესი, ომში მყოფი მხარეების ლიდერებთან და მათ შორის არსებულ შეიარაღებულ დაპირისპირებას ისე აგვარებს, რომ ამ უკანასკნელთა რთმანეთთან უშუალო კონტაქტი და ნახვა არ უწყვეტ.

ამ ტერმინის შექმნაც, უშუალოდ, აშშ-ის ყოფილ სახელმწიფო მდივნის, ჰენრი კისინჯერის სახელთან არის დაკავშირებული. ეგიპტისა და ისრაელს შორის მიმდინარე ომს ქიფურის ომის დასრულების შემდეგ საომარ მოქმედებებს მაინც ჰქონდა ადგილი ორ მხარეს შორის. ამიტომ, კისინჯერმა 1973 წლის 5 ნოემბერს დაიწყო შატლის დიპლომატიის განხორციელება და 2 კვირასა და 5 დღეში საომარი მოქმედებები დაასრულა.

ნიქსონისა და ფორდის ადმინისტრაციების დროს (1969-1977) კისინჯერი წარმატებულად ახორციელებდა შატლის დიპლომატიას ახლო აღმოსავლეთის რეგიონში, რის შედეგადაც დაიღო შეთანხმებები ისრაელსა და სირიას შორის გოლანის სიმაღლეებზე 1974 წელს და „სინაის დროებითი შეთანხმება“ 1975 წელს. ამის შედეგად, კისინჯერის სახელმწიფო მდივნის თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში, ტერმინი „შატლის დიპლომატია“ ფართოდ გავრცელდა მთელ მსოფლიოში.

## ეკონომიკური დიპლომატია - Economic Diplomacy

ეკონომიკური დიპლომატიის მიზანია, სახელმწიფოს კონომიკური რესურსების მთელი სპექტრის განვითარება საზღვარგარეთ არსებული ისეთი ეკონომიკური საშუალებების გამოყენებით, როგორცაა ვაჭრობა, ინვესტიციები და ფინანსური დახმარებების მოზიდვა, რაც ხელს უწყობს ახალი სამუშაო ადგილების შექმნასა და ეკონომიკური კეთილდღეობის წახალისებას. ის ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას კონფლიქტების მოსაგვარებლად და სახელმწიფოებს შორის დიპლომატიური კავშირების გასაუმჯობესებლად.



ეკონომიკური დიპლომატიის ნიმუშად აშშ-ის პრეზიდენტმა, ბილ კლინტონმა დაახსენა არკანზასელი მეფრინველეობის ინდუსტრიის მაგნატის, დონალდ ტაისონის მაგალითი, რომელიც მან დიპლომატიური მისიით პონგ კონგში მიაღწინა. ამის გამო, კლინტონის ოპონენტებმა იგი გააკრიტიკეს და განაცხადეს, რომ ადგილი ჰქონდა პოლიტიკურ პროტექციონიზმს, რადგან ტაისონი კლინტონის წინა საარჩევნო კამპანიას აფინანსებდა, როგორც გუბერნატორის (არკანზასი), ისე, შემდგომ, საპრეზიდენტო არჩევნების დონეებზე. კლინტონმა ამის საპასუხოდ წარმოთქვა სიტყვა, სადაც შეეცადა აეხსნა, თუ რა სარგებელი ნახა აშშ-მა ტაისონის პონგ კონგში მივლინებით. კერძოდ, მან ხაზი გაუსვა ტაისონის ეკონომიკურ ნიჭს, რომელმაც ამ უკანასკნელს მისცა საშუალება, რომ შეენიშნა, რომ ჩინურ კულტურაში ადამიანები უპირატესობას ანიჭებენ ქათმის ბარკლებსა და ფრთებს, ხოლო დასავლურ კულტურაში (აშშ, ევროპა) გამოიყენება მხოლოდ მკერდის თეთრი ხორცი.

შესაბამისად, ჩინური მეფრინველეობის ინდუსტრია თეთრ ხორცს ყრის და ანადგურებს, ხოლო დასავლური მეფრინველეობის ინდუსტრია უარყოფს ბარკლებს და ფრთებს. კლინტონის თქმით, ტაისონმა შეს-

# შუაგავლის შეჭმას მისი მოსმენა ჯობს!

## კლასიკური უკავშირის ხელშეწყობა

თავაზა ჩინელ კოლეგებს, რომ ორივე მხარეს მათ მიერ უარყოფილი ქათმის ნაწილები გადაყრის მაგივრად ერთმანეთში გაეცვალოთ, რამაც ორივე მხარეს ორმაგი მოგება მოუტანა.

## საბანაშორისო დიპლომატია - Educational Diplomacy

ბანაშორისო დიპლომატიის მიზანია განათლების გამოყენება საერთაშორისო ურთიერთობებისა და ინტერ კულტურული ურთიერთგაგების გასაუმჯობესებლად. ის მოიცავს საერთაშორისო უნივერსიტეტებს, მათ შორის იდეების გაცვლას, რაც ხელს უწყობს ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ჩამოყალიბებას, რაც ასევე საჭიროა ეროვნულ საზღვრებს შორის თანამშრომლობისა და გლობალური ურთიერთგაგების დასამყარებლად.



## სპორტული დიპლომატია - Sports Diplomacy

სპორტული დიპლომატია ხელს უწყობს სპორტის განვითარებას, რისი მიზანაც დიპლომატიური ურთიერთობების, გლობალური მშვიდობისა და ურთიერთგაგების დამყარებაა. ის იყენებს მძლეოსნობას კომუნიკაციისა და თანამშრომლობის გასაძლიერებლად და სახელმწიფოებს შორის, კულტურებსა და საზოგადოებებში არსებულ ხარვეზების გადასაღებად. სპორტულმა დიპლომატიამ შეიძლება ხელი შეუწყოს გარემოს დაცვას, გენდერულ თანასწორობას, ადამიანის უფლებებს და სოციალურ და ეკონომიკურ ზრდას. ის ასევე შეიძლება გამოყენებულ იქნას ერებს შორის დიპლომატიური კავშირების გასაუმჯობესებლად და საერთაშორისო პრობლემების განხილვის ფორუმის შესაქმნელად.

შეიძლება ითქვას, რომ სპორტული დიპლომატია მშვიდობის დამყარების ერთ-ერთი უძველესი მეთოდია. ძველ საბერძნეთში, ძველი ველთაღრიცხვით 776 წლიდან 393 წლამდე, ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ, ტარდებოდა ოლიმპიური სპორტული თამაშები. ეს იყო რელიგიური ფესტივალის ნაწილი, რომელიც ძველბერძნულ დმერტოთა მეფის, ზევსის საპატივსაცემოდ იმართებოდა და მისი სახელწოდება „ოლიმპიური“ - ოლიმპის მთის სახელიდან მომდინარეობდა, რომელიც ბერძნული დმერტების სახლს წარმოადგენდა. ოლიმპიური თამაშები ბერძენთა ცხოვრების ცენტრალური ნაწილი იყო და ყოველწლიურად ცდილობდნენ, რომ ოლიმპიადების დროს ომები არ ყოფილიყო. თავიდან ოლიმპიადა ერთი დღე გრძელდებოდა, შემდგომ კი ის ოთხი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, რასაც ბოლო დაემატა მეხუთე დამავირგვინებელი დღე, როდესაც ხდებოდა გამარჯვებულთათვის პრიზების გადაცემა და მათთვის ეწეობოდა საზეიმო ბანკეტები.

მიუხედავად იმისა, რომ ოლიმპიური თამაშები ჩვენ წელთაღრიცხვის მეოთხე საუკუნეში დასრულდა, კაცობრიობას მათდამი ინტერესი არ დაუკარგავს, რის შედეგადაც, 1896 წელს, ათენში, ერთობლივი ძალისხმევით პირველი თანამედროვე ოლიმპიური თამაშები ჩატარდა.



## სახალხო დიპლომატია - Public Diplomacy

სახალხო დიპლომატია არის დიპლომატიის სახეობა, რომელიც ხაზს უსვამს უცხო ქვეყნის მოქალაქეებთან ურთიერთობის დამყარების აუცილებლობას. ის არის რბილი ძალის სახეობა, რომელიც გულმგობს სახელმწიფოებს შორის კავშირებისა და ურთიერთგაგების ხელშეწყობას კულტურული, ეკონომიკური და საგანმანათლებლო გამოცდილების გაცვლის გზით. სახალხო დიპლომატია ასევე შეიძლება მოიცავდეს უცხოელ აუდიტორიასთან მედიისა და სხვა სახის კომუნიკაციის საშუალებით დაახლოვებას.

## კიბერდიპლომატია - Cyber Diplomacy

კიბერ დიპლომატიის მიზანია ლექტრონული კომუნიკაციისა და ტექნოლოგიების გამოყენება დიპლომატიის და საგარეო საქმეების პროგრესისათვის. იგი მოიცავს ისეთი ტექნოლოგიური ინსტრუმენტებს, როგორცაა სოციალური მედია, ვებსაიტები და სხვა ონლაინ პლატფორმები, რომელიც ელექტრონული დიპლომატიური შეხვედრების, დებატებისა და გლობალური თანამშრომლობის გასაუმჯობესებლად გამოიყენება.

კიბერდიპლომატია არის ხელშეწყობა, მეცნიერება და საშუალება, რომლის გამოყენებით სახელმწიფოები, პოლიტიკური დაჯგუფებები, ან ინდივიდები კიბერსივრცეში აწარმოებენ თავიანთ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ ან სამეცნიერო ურთიერთობებს იმ მიზნით, რომ შენარჩუნდეს მშვიდობიანი ურთიერთობები. სამწუხაროდ, დღეს ინტერნეტი იქცა გეოპოლიტიკური რძოლებისა და დეზინფორმაციის გავრცელების ასპარეზად. ამის კარგი მაგალითებია კიბერ დანაშაულის ის შემთხვევები, რომლებსაც ადგილი ჰქონდა აშშ-ის არჩევნებში, საფრანგეთის პრეზიდენტ მაკრონის საარჩევნო კამპანიისა და გერმანიის ბუნდესტაგის არჩევნების დროს. შესაბამისად, კიბერ დიპლომატიის ამოცანაა მინიმუმამდე დაიყვანოს კიბერ აგრესიის ისეთი გამოვლინებები, როგორცაა: კიბერშეტევები სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურებზე, მონაცემთა დარღვევები, კიბერდანაშაული, კიბერჯაშუშობა, ონლაინ ქურდობა და შეურაცხყოფელი კიბეროპერაციები, რომლებსაც ზოგიერთი სახელმწიფო, თუ არა სახელმწიფო აქტორები ახორციელებენ.

## კულტურული დიპლომატია - Cultural Diplomacy



კულტურული დიპლომატია არის იდეების, ხელოვნების ნიმუშების, ინფორმაციისა და კულტურის სხვა ელემენტების გაზიარება სახელმწიფოებსა და მათ მოქალაქეებს შორის ურთიერთგაგების გასაუმჯობესებლად, რაც ასევე აუცილებელია კულტურული განსხვავებებისა თუ დაპირისპირებების გადასაღებად. მიუხედავად იმისა, რომ დიპლომატიის ს სახეობა ხშირად უგულვებელყოფილია, მის გამოყენებას შეუძლია მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ეროვნული უსაფრთხოების მიზნების მიღწევაში.

სამეცნიერო დიპლომატია - Science Diplomacy

სამეცნიერო დიპლომატია არის მეცნიერებისა და ტექნოლოგიების გამოყენება საერთაშორისო თანამშრომლობის გასაძლიერებლად და სახელმწიფოებს შორის ხიდების შესაქმნელად...

ენერგეტიკული დიპლომატია - Energy Diplomacy

ენერგეტიკული დიპლომატია არის დიპლომატიური ურთიერთობების გამოყენება ენერგეტიკულ ინდუსტრიაში ენერჯის ინტეგრაციის წინსვლის დასაცავად...

რეგიონალური დიპლომატია - Regional Diplomacy

რეგიონალური დიპლომატია მოიცავს ურთიერთობების წარმართვას იმ სახელმწიფოებს შორის, რომლებიც კონკრეტული გეოგრაფიული არეალის შემადგენელი ნაწილები არიან...

ჯანდაცვის დიპლომატია - Health Diplomacy

ჯანდაცვის დიპლომატია იყენებს დიპლომატიურ ტექნოლოგიებს გლობალური ჯანმრთელობის ისეთი პრობლემების გადასაჭრელად...

კალაუფლების შიკარხების ხელოვნება

რობორც ვხედავთ, კაცობრიობის ისტორიის საწყისიდან დღემდე, დიპლომატია საერთაშორისო მშვიდობისა და სტაბილურობის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტად რჩება...

აღნიშნულ პერიოდში, კაცობრიობა ოთხჯერ იღვა საყოველთაო, ბირთვული კატასტროფის ზღვარზე (1950 - კორეის ომი; 1975 - სუეცის არხის კონფლიქტი; 1963 კუბის კრიზისი და 1972 - ომ ქოფურის ომი) და ამერიკის პრეზიდენტების, ტრუმენის, ეიზენჰაუერის, კენედისა და ნიქსონის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ თავიანთი კეთილგონიერებითა და პრინციპულობით მსოფლიოს ოთხჯერვე თავიდან აარიდეს ეს საშინელი საფრთხე...

„ატენიონი“

სიევარული „ღვთიურ ქოხში“, საქართველო რომ ჰქვია

არ ვიცი, არსებობს თუ არა ორნამი ან სხვადასხვა ფერის შური.

ის კი ფაქტია, რომ ასეთი კრებულის გამოცემის იდეა შემზრდა.

ან გამკვირვება. ნანა ჭანტურიასთვის დამახასიათებელია ორიგინალური იდეები.

თლონდ, არა ორიგინალურობისთვის, არამედ საქმისთვის. ეს მართლაც საქმეა.

მნიშვნელოვანი საქვეყნო საქმე. „აფხაზური სამავშლო ლიტერატურის ანთოლოგია.“

პროექტის ავტორი და რედაქტორი - ნანა ჭანტურია; მხატვრული რედაქტორი - ნუნუ ჯანელიძე.

მხატვარი - დალი მუხაძე; დიზაინერი - ვახტანგ ზაქარაია;

პუბლიკისტი აფხაზურიდან - რიტა ამიჭა - მარლანასი; თარგმანი - ნანა ჭანტურია (პროზა), დალი მუხაძე, ნუნუ ჯანელიძე.

საინტერესოა, აფხაზურ ენაზე თუ აქვთ ასეთი ანთოლოგია? კიდევ რომ ჰქონდეთ, მაინც უნდა აღფრთოვანდნენ და უდიდესი მადლიერებით შეხედნენ იმ ფაქტს, რომ ასეთი ანთოლოგია „ხმათა ხავერდების და ღმერთების ენაზე“ გამოიცა.

მადლიერება ვახსენე. სწორედ მადლიერებას ეხება ამ წიგნში შესული ერთ-ერთი ზღაპარი.

ნონა ჯინჯოლიას „ღვთის საჩუქარი“.

ძალიან დამაინტერესა ავტორის ასაკმა. თუმცა, მთავარი ისაა, რაც იქ წერია.

უფალი დედამეჩაზე დაშვებამ ინებებს, ახლოდან რომ ენახა, როგორ ცხოვრობდნენ ადამიანები, რაც მთავარია, ერთმანეთთან როგორ ურთიერთობდნენ.

რამდენსამე სახლში შეიხედავს. ბევრგან ვაცნობიერებოდას იხილავს და სიკეთისა და მადლიერების მარცვლები, ღმერთს რომ ხელის გულზე უდევს, ნახშირად გადაიქცევა.

ბოლოს ერთ ქოხთან შეჩერდება უფალი. იქ ანცი ბავშვების ურამულსა და ერთმანეთის სიყვარულს დაინახავს. ამიტომაც თავის ხურჯინს გახსნის და სიკეთისა და მადლიერების მარცვლებს უხვად გადმოაფრქვევს.

ახლა კი მართლა მაინტერესებს, რა ასაკისაა ავტორი და როდის დაწერა ეს მოთხრობა-ზღაპარი, სადაც დაუჯერებელი არაფერია.

ანუ: თუ ქართველები და აფხაზები ერთ ჭერქვეშ, ანუ იმ ღვთაებრივ „ქოხში“, საქართველო რომ ჰქვია, სიყვარულით ვიცხოვრებთ, ღმერთი სიკეთისა და მადლიერების მარცვლებს უხვად გადმოგვაცურებს.

მართლ ამ ერთ მოთხრობად თუ ზღაპრად ღირს ერთი ანთოლოგია.

და ასეთი კიდევ რამდენია?! სხვათა შორის, ეს მოთხრობაც და მთელი პროზაული ნაწილი თვითონ ნანა ჭანტურიას უთარგმნია.

უთარგმნია გულთ და მაღალმხატვრულად.

და ლექსები? სამავშლო ლიტერატურის ანთოლოგია ხომ უამისოდ წარმოუდგენელია?!

გასახარია, რომ პოეტური ნაწილიც ღირსეულად გამოიყურება.

ანა კალანდაძეს ერთ-ერთ დღიურში ჩანიშნული აქვს ასეთი მოსაზრება:

„პოეტს და მის მთარგმნელს ერთი ჯგუფის სისხლი უნდა ჰქონდეს“.



მიხარია, რომ აფხაზ და ქართველ სამავშლო პოეტებსაც ერთი ჯგუფის სისხლი აღმოჩენიათ.

დალი მუხაძე და ნუნუა ჯანელიძე. თვითონ პოეტებს (ქალმატონი დალი ჩინებელი მხატვარიცაა) დიდი სიყვარულით უთარგმნიათ სხვადასხვა თაობის აფხაზ კოლეგათა სამავშლო ლექსები.

აქ ისეთ სტრიქონებს შეხვდებით, ხელს ნოდარ ღუმუაძე და გურამ პეტრიაშვილს რომ მოაწერდნენ.

მაგალითად, ასეთია ივანე შიქაიას „მელაკუა“.

აი, ერთი სანიშნო სტრიქონი: „შიშისაგან მელაკუდასპველი კუღში ჩაუვარდა.“

და მაინც, ეს არ არის ანთოლოგია მხოლოდ ბავშვებისათვის. აქ იმდენი სიმბოლოა გაბნეული, დიდებულ რომ სერიოზულად უნდა დაგვაფიქროს.

სათაურის ღრმად სიმბოლოურია: „ნუშა“ ქართული სიტყვაა (მეგრულიც, - მითხრეს); „ანიშა“ - აფხაზური.

ორივე ნავს აღნიშნავს. და როგორ ჰგვანან ერთმანეთს?! ანთოლოგიის ერთ-ერთი საუკეთესო ტექსტია ინა ხაჯინბას „წყაროს დალოცვა“.

აქ უხუცესი სანთლით ხელში ლოცულობს და უფალს ევედრება, ამ ანჯარა წყაროს ნუ დაგვიშრობ და მის ამღვრევას არავის გაუაზღვინებთო.

მინდა, შევროდეს, რომ აქ ჩვენი - ქართველთა და აფხაზთა, საერთო წყარო იგულისხმება.

წყარო, რომელიც სულ სხვამ აამღვრია. ამიტომაც, ჯერ ამ წყაროს დაწმენდაზე უნდა ვილოცოთ და მერე ნუღარავის ავამღვრევინებთ.

აი, ასეთ სადილო სათქმელსა და ოცნებას იტყვს ეს სამავშლო ანთოლოგია.

ორიგინალური იდეა თავისთავად მნიშვნელოვანია, მაგრამ მას ფასი მაინც მაშინ აქვს, როცა რეალურად იქცევა.

რა მდენიერებაა, რომ „ნუშა და ანიშა“ იღვის რეალურად ქვეყანა.

ველოცავ ამ დღეს აფხაზებსაც და ქართველებსაც, აფხაზეთსა და მთელს საქართველოს.

იოსებ ჭუმბურიძე

# მასპინძელთა კომენტარები

30 წელიწადი უკვე უსწრებლად ქართულმა ფრენჩაიზმა „შავა ლომმა“ 9 დეკემბერს ისტორიული შეხვედრა გამართა. ჩელენჯ თასის სადებიუტო მატჩში მან საუკუნუნახევრიანი ისტორიის მქონე ინგლისურ გრანდ „გლოსტერს“ უმასპინძლა და გამარჯვებამდე სულ ცოტა დააკლდა.

ინგლისელებმა 15 ქულა ჯარიმების ხარჯზე მოიხვეჭეს, რაზეც ლუკა მატკავამ ლელოთი, გარდასახვით და ჯარიმით უპასუხა. პირველ ტაიმში მასპინძელთა მოლს მეორე ლელოც მოყვა, მაგრამ ვიდუროფერიმ ხანგრძლივი გადამოწყობის შემდეგ გააუქმა...

ნამატკავამ „შავი ლომის“ მთავარმა მწვრთნელმა და მოთამაშებებმა პრესკონფერენციაზე უსრულალისტა კითხვებს უპასუხეს.

**ლუკა მატკავა (მთავარი მწვრთნელი):** ვეთამაშეთ დიდი ისტორიის მქონე მრისხანე მეტოქეს, რომელსაც სიღრმეების მხრივ პრობლემები არ აქვს და ხშირ შემთხვევაში ასეთი ტიპის თამაშს მეორე ნომრები უფრო მეტი მონაწილეობით ატარებენ. ჩემი მიზნები ამჟამად ვარ, მათ ვუთხარი, რომ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ, რომ მოედანი გამარჯვებულს დაგვეტოვებინა და ამაში მხოლოდ ანგარიში არ იგულისხმება. ჩვენ უნდა ვყოფილიყავით დარწმუნებული, რომ მაქსიმუმი გავაკეთეთ და ასეც მოხდა.

პირველ ტაიმში გავიტანეთ ორი ლელო, რომელთაგან მეორე ჩემთვის გაუ-



გებარი მიზეზით გაუქმდა. არ მაქვს პასუხი რატომ არ ჩაითვალა ეს ლელო. წაგებული თამაშით კმაყოფილი ვერ ვიქნებით, მაგრამ ის, რომ „გლოსტერს“ ლელო არ გავატანინეთ, თავად კი ორი გა-

უტანეთ, ნამდვილად იძლევა უკეთესი მომავლის იმედს.

ახლა უელსში მივემგზავრებით, სადაც „სკარლეთს“ ვეთამაშებთ, მერე „ჰითთან“ გველის სუპერთასის ფინალი, იანვარში

კი „კასტთან“ და „კლენმონთან“ გვაქვს შეხვედრები. გასეირნება არცერთი იქნება, თუმცა ყველას დაგანახეთ, რომ ჩელენჯ თასში მხოლოდ მონაწილეობისთვის არ ვართ და ყველა თამაშში მოსაგებად ვიმბძოლებით. ეს არ ნიშნავს, რომ ყველა შეხვედრას მოვიგებთ, მაგრამ მთავარია მოლოდინი ვიყოთ მრძოლაში და ის დროც მოვა, როდესაც დიდ თამაშებს მოვიგებთ.

**მურაზ შანიძე (კაპიტანი):** მადლობა თითოეულ გულშემატკივარს, რომელიც წვიმის მიუხედავად სტადიონზე მოვიდა და ბოლომდე გვერდში გვედგა. მათი ხმა 80 წუთის განმავლობაში ისმოდა და ეს დასაფასებელია. ასევე მადლობა ყველა იმ ადამიანს, რომელმაც თამაშის ორგანიზებაში მიიღო მონაწილეობა და იდეალური გარემო შექმნა.

ასეთ მიმე თამაშებში პატარა შეცდომებს დიდი ფასი აქვს. ვინც მსგავსი ტიპის მატჩებში პირველად მონაწილეობს, მათთვის რთულია. წნეხის მიჩვევას მეტი მსგავსი დონის თამაშში ჭირდება. მნიშვნელოვანია, ყოველი თამაშის, ვარჯიშის შემდეგ ნახევარი ნაბიჯით წინ ვიაროთ და აუცილებლად მოვა დრო, როდესაც ასეთ გუნდებთან ფაქტობრივად ჩავითვლებით.

**ლუკა მატკავა:** წაგებული მატჩის შემდეგ პოზიტივზე საუბარი რთულია, მიჭებმა კარგად იმუშავეს, კარგი მომენტი შემოქმენს და გამოვიყენებ.

## საფეხბურთო მოზაიკა

ნაპოლიმ უსრულალისტა უმბერტო კიარინელომ ხშირად კმარასხმულია ისაუბრა. როგორც მან თქვა, საჭიროა პრობლემებზე პატიოსნად საუბარი და ამჟამად ქართველ ფეხბურთელს „ნაპოლისთვის“ პრობლემად მიიჩნევენ.

**ერთი წუთით ვსადაოთ, გულწრფელად ვიფიქროთ:** ამ ორ თვეში კვარაცხელიას ადგილას ისინი რომ ყოფილიყო, გაიყვანდნენ მოედანზე, ძელზე ჩამოკიდებდნენ და ქვეშ ცეცხლს შეუნიშებდნენ? მე მგონია, რომ ასე იქნებოდა.

რა შეფასებებს იმსახურებს ბოლო დროს მისი თამაში? მოლოდინი: „მილანთან“ 2:2-ზე გამარჯვების გოლის გატანა შეეძლო, მაგრამ ვერ გაიტანა. „ემპოლისთან“ გოლის გაშვებამდე მას შეეძლო გატანა და ვერ გამოიყვანა. მადრიდში 2:2-ზე შეეძლო გუნდი წინ გაეყვანა და არასწორი არჩევანი გააკეთა. „ინტერთან“ გათანაბრება შეეძლო, ზომერმა კარგი შურთი აიღო, მაგრამ დარტყმა იკითხებოდა. „იუვენტუსთან“ მთელი კარი მის წინ იყო და მალა დაარტყა. რამდენი გადაწყვეტილი გოლი ვერ გაიტანა ამ ბოლო პერიოდში?

**ფიქრობ, რომ კვარაცხელიას ვერაპის 5 საუკეთესო მოთამაშედ ერთ-ერთი, მიყვარს, მისი სათამაშო მანერა ძველი ფეხბურთის გენიოსებს მავსებდა, მათ შორის ჯორჯ ბესტს, მაგრამ გულწრფელი უნდა ვიყო: თუ მოედანზე ყველაზე ცუდია, ეს ნიშნავს, რომ ცუდია და ასე იყო „ინტერსა“ და „იუვენტუსი“.**

ეს არ არის ნამდვილი კვარაცხელია, აღარც ნამდვილი ოსიმენია. ამ ორმა ფეხბურთელმა სპალიტინთან ერთად სკუდერო მოგვიტანა, მაგრამ ახლა მათმა გამოუყენებელმა მომენტებმა „ნაპოლი“ დააზარალა. კვარაცხელია თამაშში 6 მომენტს თუ გააფუჭებს, არავინ არაფერს ამბობს, მის ადგილას ისინი რომ ყოფილიყო, აპოკალიფსის მოხდებოდა. ამიტომაც, შეფასებებში არაკეთილსინდისიერი ვართ. ამიტომაც, არ არის მართალი, რომ მერეტი და მათანი ყველა მატჩში ყველაზე ცუდად თამაშობენ, ნათანს იმაზე უკეთესი სემონი აქვს, ვიდრე პირველ წელს კულისალოს ჰქონდა, - თქვა კიარინელომ.

შეგახსენებთ, რომ ხვირა კვარაცხელიამ მიმდინარე სეზონში 19 მატჩში 4 გოლი გაიტანა, ოთხჯერაც საგოლე პასი მიითვალა.

**მადრიდის „რეალს“ „ვალენსიას“ მეკარე გიორგი მამარდაშვილი დაუკავშირეს. ამის შესახებ ინფორმაციას Relevo ავრცელებს.**

წყაროს თანახმად, თუ ბაფხულში მადრიდელები „ჩელსიდან“ კეპას ვერ გამოიყვანდნენ, ახალი მეკარის შეძენას გეგმავენ, რადგან გუნდიდან შეიძლება ანდრეი ლუნიჩუ წაივადეს.

სხენებული გამოცემა იტყობინება, რომ „სამეფო კლუბის“ სიაში სამი მეკარეა - გიორგი მამარდაშვილი, მათეუსი და რანდალ როდრიგესი. კონკრეტული დეტალები უცნობია, მაგრამ მადრიდელები ტიზო კურტუას ალტერნატივას ეძებენ, რათა გუნდში მეორე მეკარე ჰყავდეთ.

აღსანიშნავია, რომ მამარდაშვილით „რეალი“ მიმდინარე სეზონის წინ იყო დაინტერესებული, როცა კურტუამ ტრავმა მიიღო, მაგრამ მამარდაშვილმა არ შედგა. ქართველ მეკარეს სამ ინგლისურ კლუბსაც უკავშირებენ.

შეგახსენებთ, რომ გიორგი მამარდაშვილს „ვალენსიასთან“ კონტრაქტი 2027 წლის ბაფხულამდე აკავშირებს.

**მელბურნის „ცრვენა ბეზდამ“ რეკორდი დაამყარა. საქმე ისაა, რომ სერბულ გუნდს შიდა ჩემპიონატში ზედიზედ 122 მატჩია არ წაუგია.**

„ცრვენა ბეზდამ“ „რეალის“ მიღწევა გააუმჯობესა. დიდებული სერია 2017 წლის 30 აპრილით იწყება, როდესაც ბელგრადელებმა შინ „ვოივოდინას“ 2:0 აჯობეს. მას შემდეგ სერბეთის ჩემპიონატში „მარაკანაზე“ ამ გუნდს ვერაფერი უგებს: 122 თამაში, 110 მოგება, 12 ფრე, 0 წაგება, 339 გატანილი და 54 გაშვებული გოლი.

„ცრვენა ბეზდამ“ ჩემპიონატის ევროპით საკუთარ მოედანზე ბოლოს 2017 წლის 18 აპრილს, „პარტიზანის“ წინააღმდეგ წაგო (1:3).

**ლა ლიგის მე-16 ტურის მატჩი „გრანდასა“ და „მილბაოს“ შორის შეწყდა, საბოლოოდ კი გადაიდო.**

ამის მიზეზი ის გახდა, რომ ტრიბუნაზე გულშემატკივარი გარდაიცვალა. 70 წლის მამაკაცი შეუძლოდ გახდა, რადგან გულის შეტევა დაემართა. სამწუხაროდ, ექიმებმა მისი გადარჩენა ვერ მოახერხეს.

მთავარ მსაჯს მომხდარის შესახებ „მილბაოს“ მეკარემ, უნაი სიმონმა აცნობა და თამაში 22-ე წუთზე შეწყდა. ტრაგიკული მოვლენის შემდეგ გუნდები ლა ლიგასთან ერთად შეთანხმდნენ, რომ მატჩი არ გაგრძელდებოდა და გადაიდო.

## ტატაზა

ძიუდოს ჩემპიონთა ლიგაზე ქართულმა კლუბებმა წარუმატებლად იასპარეზეს. „გოლდენ გორი“ და შარშანდელი ჩემპიონი „მებრძოლი“ პირველივე წრეში დამარცხდნენ, შესაბამისად, „მეოგრადთან“ (2:3) და „არსიანთან“ (1:3).

„მებრძოლი“ რეპეშაჟში „სტამბასთან“ დამარცხდა (1:3), რის შედეგად უმეტესად დარჩა, ხოლო „გოლდენ გორმა“ ჯერ „პარტიზანს“ მოუგო 3:0 და მერე ფრანგულ „სატრუელს“ ამავე ანგარიშით და ბრინჯაოს მედალისთვის ბრძოლის უფლება მოიპოვა.

ქართულ გუნდს „პარი სენ-ჟერმენტთან“ დაპირისპირება მოუწია და ფრანგულმა კლუბმა 3:2 გაიმარჯვა. აღსანიშნავია, რომ პარიზელთა რიგებში ლაშა მუქაურმა გიორგი დვალაშვილი დაამარცხა, ხოლო ტატო გრიგალაშვილმა - ვლადიმერ ახალკაცი.

## სუთი რგოლი

# ნეიტრალური სტადიონით

საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის (IOC) აღმასრულებელი სამსახურის გადაწყვეტილებით, ინდივიდუალური ნეიტრალური ათლეტები (AINS), რომლებმაც სპორტის საერთაშორისო ფედერაციების მიერ დაწესებული სავალიდუაციო სისტემით კვალიფიკაცია გაიარეს, უფლებამოსილი იქნებიან იასპარეზონ პარიზის 2024 წლის ოლიმპიურ თამაშებზე.

ინდივიდუალური ნეიტრალური ათლეტები არიან რუსეთის ან ბელარუსის პასპორტის მქონე სპორტსმენები.

IOC-ის ცნობით, რუსი და ბელარუსი სპორტსმენები პარიზის ოლიმპიურ თამაშებზე დაუშვებ, თუმცა არა სრულფასოვანი, არამედ როგორც ინდივიდუალური ნეიტრალური ათლეტების (AIN) სტატუსით. გასათვალისწინებელია, რომ ასეთ სპორტსმენებს მხოლოდ პირად პირველობებში ასპარეზობის უფლება ექნებათ.

ნეიტრალურ სპორტსმენებს ევროპაში დროშის, ჰიმნის და რუსეთთან ან ბელარუსთან დაკავშირებული, ასევე მათი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტების ნებისმიერი სხვა სიმბოლოს გამოყენება. ორივე ქვეყნის სპორტსმენები სარბიელზე გავლენ AIN (Athlete Individuel Neutre)-ის ამრევიტუტით. მაყურებელს, ისევე როგორც სპორტსმენებს ევროპაში ოლიმპიურ ობიექტებზე ამ ქვეყნების ეროვნული სიმბოლიკის წარმოდგენა.

## უპედლოდ დაპრრით



წლეულს, 28 მარტს IOC-ი საერთაშორისო შეკრებებზე რუსი და ბელარუსი სპორტსმენების ნეიტრალური სტატუსით დაშვების რეკომენდაციით გამოვიდა, ოლიმპიურად მათი, რომლებსაც უკრაინაში მიმდინარე ომის მხარდამტყერი განცხადებდა არ გაუკეთებიათ და არც რაიმე კავშირში არიან შეიარაღებულ ძალებთან თუ სამსახურებთან. ასევე რუსი და ბელარუსი სპორტსმენები არ უნდა იყვნენ წარმოდგენილი გუნდურ სახეობებში.

გარდა ამისა, ოლიმპიურ თამაშებზე დასწრების უფლება არ ექნებათ რუსეთის და ბელარუსის ოფიციალურ პირებს. რეგლამენტის დარღვევის შემთხვევაში, IOC და პარიზი 2024-ის საორგანიზაციო კომიტეტი იტოვებენ უფლებას დისკვალიფიკაციით დასაჯონ სპორტსმენი ან დელეგაციის წევრი. პარიზი XXXIII ოლიმპიურ თამაშებს უმასპინძლებს 26 ივლისიდან 11 აგვისტოს ჩათვლით.





# იაპონიის თაოსნობით გაბართული მინისტრიალი დუბაიში

არაბთა გაერთიანებულ სა-  
ამირატებში, დუბაიში გაეროს კლი-  
მატის ცვლილების კონფერენციის  
(COP 28) ფარგლებში გამართულ  
შეხვედრას, რომელიც იაპონიის  
გარემოს დაცვის მინისტრ იტო  
შინტაროს მოწვევით გაიმართა,  
მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის

გარემოს დაცვის მინისტრები და  
მაღალი რანგის თანამდებობის  
პირები ესწრებოდნენ, - ამის შე-  
სახებ ინფორმაციას გარემოს დაც-  
ვისა და სოფლის მეურნეობის სა-  
მინისტრო ავრცელებს.  
მათივე ცნობით, საქართვე-  
ლოს გარემოს დაცვისა და სოფ-

ლის მეურნეობის მინისტრი ოთარ  
შამუგია აღნიშნული მაღალი დო-  
ნის შეხვედრაზე სიტყვით გამო-  
ვიდა.

„ოთარ შამუგიამ დადებითად  
შეაფასა ერთობლივი დაკრედი-  
ტების მექანიზმის ფარგლებში  
(JMC) იაპონიისა და საქართვე-  
ლოს მთავრობებს შორის თანამ-  
შრომლობა.

„2022 წელს საქართველოს და  
იაპონიის მთავრობებმა ხელი მო-  
აწერეს ურთიერთგაგების მექა-  
ნიზმის კლიმატის ცვლილების  
წინააღმდეგ თანამშრომლობის გა-  
საფართოებლად და ერთობლივი  
დაკრედიტების მექანიზმის შექმ-  
ნისთვის. იგეგმება ერთობლივი  
კომიტეტის შექმნა, რომელიც შედ-  
გება ორივე მთავრობის წარმო-  
მადგენლებისგან.

კომიტეტს ექნება ერთობლივი  
დაკრედიტების მექანიზმის გან-  
ხორციელების მანდატი. ასევე,  
ვგეგმავთ ერთობლივი კომიტე-  
ტის შეხვედრას, რათა საპროექტო  
ციკლის პროცედურებს მიეცეთ  
ფორმალური სახე, რაც საშუალე-  
ბას მოგვცემს, საქართველო-  
ში JMC-ის სქემის ფარგლებ-  
ში ემისიების შემცირების პირველი  
პროექტები განხორციელდეს“, -  
განაცხადა ოთარ შამუგიამ.

## სანთელი

შპს „საქგზამეცნიერება“ იუნყება, რომ გარდაიც-  
ვალა ინსტიტუტის ლეანდროსილი თანამშრომელი,  
ათეული წლების განმავლობაში კადრების განყოფი-  
ლების ყოფილი უფროსი, ახალგაზრდა სპეციალის-  
ტთა გვერდში მდგომი და დამრიგებელი ქალბატონი

## რუსუდან ქიტიაშვილი

და ღრმა მწუხარებით უცხადებს სამძიმარს გარ-  
დაცვლილის ოჯახს.  
პანაშვიდი: 13 XI, 16:00 საათზე, გამოსვენება: 14 XI,  
14:00 საათზე; მისამართი: ახალციხის ქ. №12.

## პაპი ფრანსისკას მოწოდება



რომის პაპი ფრანსისკე საო-  
მარი მოქმედებების ზონებში ადა-  
მიანის უფლებების დაცვის მოწო-  
დებით გამოდის.

„როდესაც შობა ახლოვდება,  
შევძლებთ ჩვენ, უფლის დახმარე-  
ბით, მშვიდობისკენ კონკრეტული  
ნაბიჯების გადადგმას. ჩვენ ვიცით,  
რომ ეს არ არის მარტივი. ზოგი-  
ერთ კონფლიქტს ღრმა ისტორიული ფესვები აქვს, თუმცა გვყავს  
ასევე, მაგალითად, ქალები და უცხები, რომლებიც სიმრძინით და  
მოთმინებით მუშაობდნენ მშვიდობიანი თანაცხოვრებისთვის.  
მოდი, მივბაძოთ მათ მაგალითს, მოდი, მივმართოთ ჩვენი  
ძალისხმევა კონფლიქტების მიზეზების აღმოფხვრისკენ. რაც შეე-  
ხება ადამიანის უფლებებს, დაე, იყოს დაცული სამოქალაქო მო-  
სახლეობა, საავადმყოფოები და სალოცავი ადგილები, მძევლები  
გათავისუფლებული და ჰუმანიტარული დახმარება უზრუნველყო-  
ფილი. მოდი, არ დაგვაფიქვდეს ნატანჯი უკრაინა, პალესტინა,  
ისრაელი“, - განაცხადა რომის პაპმა.

## ღაზაში ცხსლის შეხვედრის შანსები სულ უფრო მსირდება



ამის შესახებ ყატარის პრემიერ-მინისტრმა,  
შეიხმა მუჰამედ ბინ აბდულრაჰმან ალ-თანიმ  
ლოჰას ფორუმზე გამოსვლისას განაცხადა.

„ისრაელის მიერ ღაზის დაბომბვა ავიწროებს ფანჯარას ახალი  
ზავისთვის“, - აღნიშნა ალ-ტანიმ.

ყატარის პრემიერ-მინისტრის თქმით, ყატარი გააგრძელებს ძალის-  
ხმევას, რათა ბეროლა მო-  
ახდინოს ორივე მხარეზე  
ცეცხლის შესაწყვეტად. ამას-  
თან, კონფერენციაზე სიტყ-  
ვით გამოსვლისას პალესტი-  
ნის პრემიერ-მინისტრმა, მოჰ-  
ამედ შტაიემ განაცხადა, რომ  
ისრაელს „არ უნდა მიეცეს  
უფლება, განაგრძოს საერ-  
თაშორისო ჰუმანიტარული  
სამართლის დარღვევა“ და  
მოითხოვა საერთაშორისო  
საქციების დაწესება.



## „ოვასია“ ბათუმში წლის ნარკოტიკული ხელოვნები დაჯილდოვდნენ

ბათუმში წლის წარმატებული ხე-  
ლოვნები დაჯილდოვდნენ. კულ-  
ტურის სფეროს მთავარი კილოდი,  
სპეციალური პრიზი - „ოვასია“ წელს  
20 ხელოვანს გადაეცა.

დაჯილდოების ცერემონიაში აჭა-  
რის მთავრობის თავმჯდომარე  
თორნიკე რიჟვაძემ მიიღო მონა-  
წილეობა. „კულტურა ნამდვილად  
არის ის მთავარი საყრდენი, რომ-  
ლის გარეშე ვერც ერთი საზო-  
გადოება ვერ პროგრესირებს. ჩვენი  
მთავარი მიზანია, რომ კულტურას



შქონდეს მაქსიმალური მხარდაჭერა  
საერთაშორისო პოპულარიზაცი-  
ის კუთხით და თითოეულ ნიჭიერ  
ხელოვანს სახელმწიფოს მხრიდან  
შქონდეს მხარდაჭერა. ჩვენი ქვე-  
ყანა ნამდვილად მდიდარია რო-  
გორც კულტურით, ასევე ნიჭიერი  
ხელოვანებით. შესაბამისად, მსოფ-

ლიო კულტურის რუკაზე ღირსე-  
ული ადგილი გვიჭირავს. მსურს  
თითოეულ ხელოვანს დიდი მად-  
ლობა გადავუხადო გაწეული შრო-  
მისთვის, ღვაწლისთვის, გისურვოთ  
შემდგომი წარმატებები“ - განაცხა-  
და აჭარის მთავრობის მეთაურმა  
სიტყვით გამოსვლისას.

## „დედა“ - „ნარინჯისფერი კამპანიის“ დასკვნითი დღე

16-დღიანი „ნარინჯისფერი კამპანიის“ დასკვ-  
ნითი ღონისძიება გაიმართა ეროვნული არქივის  
კინოცენტრში. სტუმრებისათვის მოწვეულ კინოფილმ  
„დედას“ ჩვენება. ღონისძიებას ესწრებოდა პარლა-  
მენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომე-  
რე მაკა მოჭორიშვილი.

ქალთა ორგანიზაციის გამგეობის თავმჯდომარემ,  
ნინო წილოსანმა ღონისძიების დასაწყისში ორგანიზა-  
ციის მიერ წარმოებული 16-დღიანი კამპანია შეაჯამა  
და აღნიშნა, რომ ქვეყნის ყველა მიზნობრივ მუნიცი-  
პალიტეტში ახალგაზრდებთან, მშობლებთან და პედა-  
გოგებთან საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა.

# გამორიყრათ, იყიდეთ, იკითხეთ 105 წლის „საქართველოს რესპუბლიკა“

ხელმოწერისთვის მიმართეთ:  
შპს „ელვა ჯი“  
595 382 626; 2 38 26 73; 2 38 26 74  
577 308 847  
შპს „კლანედა ფორტა“  
579 79 99 08; 599 94 73 11  
წერილში გამოგვიგზავნეთ  
ელექტრონულ ფოსტაზე:  
SAKRESP@TOP.GE SAKRESP@MAIL.RU

დახმარების მსურველები დაგვიკავშირდით:  
თბილისი, ა. წარეთლის პროსპექტი №116, „დიდუბაი პლაზა“  
- საქართველოს შურნალობის კავშირისა და  
გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ ოფისი.  
ნებისმიერი რაოდენობის შემოწირულობის (დახმარების) თანხა  
შეგიძლიათ ჩარიცხოთ ანგარიშზე GE090BG000000538329790  
შპს „100 - ახალი საქართველოს რესპუბლიკა“,  
გაზეთ „საქ. რესპუბლიკის“ გამომცემელი.  
ტელ: 599 36 00 35, 577 77 27 17;

# თბილისი - ევროპის ყველაზე სოცხალი დედაქალაქი

ადგილობრივი დროით, საგა-  
მომსახურე და ღირსეული ცხოვრება - თბი-  
ლისი ევროპის მეორე გარე-  
ნი მნიშვნელოვანი ბრუნ-  
ვის გამოცემა Times საქარ-  
თველოს ტურისტული პოტენციალის  
შესახებ წერს.


გამოცემის ურნალისტმა კრის  
შალკმა საქართველოში ტურიზმის  
ერთ-ერთი ადგილობრივი პრე-  
სტიჟული ფარგლებში იმობილიზაცია და  
Times-ის მკითხველს დედაქალაქ-  
ში მიღებული შთაბეჭდილებები გა-  
უზიარა.

„საბჭოთა ეპოქის საწყობებსა  
და საუკუნის წინ აშენებულ სახ-  
ლებში თანამედროვე მუტიკური  
სასტუმროები და მარნები მოწყო-  
ბილი, სადაც ნატურალურ ღვი-  
ნის დაღვეთ. თბილისის უკვე აქვს  
მეორე მერსის რეპუტაცია, ქა-  
ლაქი ცნობილია ღირსეული კულტურ-  
ითა და მარნებით, მაგრამ თბი-  
ლისი უფრო მეტად ვიდრე შიშ-  
ტურული სტილი. ამრეშუმის გზაზე  
მდებარე ქალაქი მონღოლი ხა-  
ნების, სპანსელი შაჰებისა და რუ-  
სი მმართველების ხელიდან ხელ-  
ში გადადიოდა. თითოეულმა მათ-  
განმა თავისი კვალი დაამჩნია ქა-



ლაქის კალენდოსკოპურ არქიტექ-  
ტურასა და კულტურულ ისტორი-  
ას. აქ შეხვედებით შუა საუკუნე-  
ების ციხე-სიმაგრეებს, საბჭოთა ნა-  
გებობებს, გზისპირა სასტუმრო-  
ებს. აქური ურნაული ცხოვრების  
შესწავლის შემდეგ გელოდებთ  
საქართველოს თოვლით დაფა-  
რული მთები, დროში გაჩენილი  
სოფლები და ეს ყველაფერი მა-  
ტარებლით ან მანქანით ძალი-  
ან ახლო მანძილზეა, - წერს  
Times-ის ურნალისტი.

სტატიაში აღწერილია ძველი  
თბილისი, ეკლესიები, ეთნოგრაფი-  
ული მუზეუმი, ღვინის მუზეუმი, ღვინის  
მარნები, მშრალი ხიდის მარნობა, კვე-  
რის ობიექტები და სასტუმროები. კრის  
შალკი მკითხველს თბილისის ცენ-  
ტრში ფეხით მოგზაურობას ურჩევს,  
სხვადასხვა უბანში კი მეტროსა და  
ავტობუსის გამოყენებას სთავაზობს.



## ქირაპდება სანტა- კლავის სახლი

AIRBNB-ზე გამოქვეყნდა განცხადება სანტა-კლა-  
უსის ქობის უფასო გაქირავებაზე, რომელიც ფინურ  
ლაპლანდიაში მდებარეობს.

განცხადება სანტას მთავარი ელფის სახელით არის  
დაწერილი, რომელიც სემინებს სთავაზობს დაეხ-  
მარონ მას სანტას წერილების დახარისხებაში.


„ეს წელიწადის ყველაზე ჯადოსნური დროა და  
დასასვენებლად სანტა-კლავის საფოსტო განყო-  
ფილებაზე უკეთეს ადგილს ვერ იპოვით. ყოველ-  
წელიწად 30 ათასზე მეტ წერილს ვიღებთ მავ-  
შებისგან და სრულწლოვნებისგან. ჩვენთვის, ელ-  
ფებისთვის, ეს ყველაზე დატვირთული დროა, ამიტომ  
გეპატიჟებით - სახელოები აიწიეთ და დაგვეხმა-  
რეთ ამ წერილების წაკითხვაში“, - წერს ელფი.

სანტას ქობი 2 მავშსა და 2 ზრდასრულზეა გათ-  
ვლილი. მისი დაქირავება კი მხოლოდ 18-21 დე-  
კემბერს შეიძლება.

## სამეფო ოჯახის საშობაო ფოტოები

დიდი ბრიტანეთის სამეფო ოჯახმა  
საშობაო ფოტოები გამოაქვეყნა. ერთ  
ფოტოზე მეფე ჩარლზი და დედოფა-  
ლი კამილა არიან გამოსახულები, მე-  
ორზე კი უელსის პრინცი და პრინცი-  
სა - უილიამი და კეტი მავშებთან ერ-  
თად.

სწორედ ეს ფოტოები იქნება გამო-  
ყენებული საშობაო ბარათებისთვის, რო-  
მელიც ტრადიციულად სამეფო ოჯახის  
სახელით იგზავნება.



## დაკარგული ბეჭედი მკვრივსრუტში

პარიზში, სასტუმრო „რიცში“ დაკარგული ბეჭედი, რომლის ღირებულებაც 750 ათას  
ევროს შეადგენს, მტვერსასრუტში აღმოაჩინეს. ბეჭედი მალაიზიელ ქალს ეკუთვნის, რომელიც  
„რიცის“ სტუმარი იყო. პარასკევს მან პოლიციას მიმართა, რადგან ეგვობდა, რომ ბეჭე-  
დი სასტუმროს თანამშრომლებმა მოკპანეს. მისი თქმით, მან ბეჭედი მავშაზე დატო-  
ვა, თვითონ კი შოპინგზე წავიდა, დაბრუნებისას კი ბეჭედი ადგილზე აღარ დახვდა.



თუმცა კვირას „რიცის“ დაცვის თანამშრომლებმა დაკარგული ძვირფასეულობა  
მტვერსასრუტის ტომარაში იპოვეს.

ბეჭდის მფლობელი ამ დროს უკვე  
ლონდონში იყო, თუმცა ცნობილია, რომ  
თავისი ნივთის დასაბრუნებლად საფ-  
რანგეთის დედაქალაქში მალევე დაბ-  
რუნდება. „რიცმა“ მას კომპენსაციის სა-  
ხით 3 ღირსეული განმავლობაში სასტუმროში  
უფასოდ დარჩენა შესთავაზა, თუმცა ცნო-  
ბილია, რომ ქალი ამ წინადადებას არ  
თანხმდება.

## ქართული მინაქარი და უპიცარიული საათების კომპანია

„დავით კაპაბაძე-მინაქარის სამკაულები  
და საათები“ დაარსებიდან 25 წლის იუბილესა  
და საათების კომპანია Patek Philippe-თან თა-  
ნამშრომლობის დაწყებას აღნიშნავს. აღნიშ-  
ნულთან დაკავშირებით სასტუმრო „რადისონ  
ბლუ ივერია“ საგამოფენო დარბაზში გაიხს-  
ნა დავით (დათი) კაპაბაძის საიუბილეო გა-  
მოფენა. ღირსეულობის საქართველოს კულტურის,  
სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის პირ-  
ველი მოადგილე იოსებ მაღალაური დაესწრო.



გამოფენაზე წარმოდგენილია საქართვე-  
ლოს ეკლესია-მონასტრებში არსებული ხატები,  
საეკლესიო ნივთები, საიუბილეო ნაკეთო-  
ბები და მსოფლიოში ცნობილი შვეიცარიული  
საათების კომპანია Patek Philippe-თან თა-  
ნამშრომლობით შექმნილი მავილის საათი. გან-  
საკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ გამოფე-  
ნაზე წარმოდგენილია ხატი - „ღვთისმშობლის  
წილხვედარი საქართველო“, რომელიც ერთა-  
დერთა და შექმნილია ოთხი ურთულესი ტექ-  
ნიკით - მიკრომოზაიკა, ტიხრული მინაქარი,  
ჭედურობა და ფილიგრანი. ექსპოზიცია ეძღვნება  
საქართველოს პატრიარქ ილია II-ის აღსაყ-

დრებიდან 45 და დაბადებიდან 90 წლის იუბი-  
ლეს. დავით კაპაბაძემ მინაქარისა და ოქ-  
რომჭედლობის სახელოსნო 1998 წელს დაა-  
არსა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-  
პატრიარქის, ილია II-ის, ლოცვა-კურთხევით.  
სახელოსნოში, ძირითადად, იქმნება ქართუ-  
ლი ტრადიციული ტიხრული მინაქარითა და ოქ-  
რომჭედლობით შემკული საერო და საეკლე-  
სიო ნივთები - ხელნაკეთი და მაღალი ტექ-  
ნოლოგიით შესრულებული. კომპანია ალტურ-  
ვილია თანამედროვე ტექნოლოგიებით, არის  
მულტიფუნქციური და მოიცავს რვა სახელოსნოს.

კომპანია „დავით კაპაბაძე-მინაქარის სამ-  
კაულები და საათები“ გამოირჩევა ტიხრული  
მინაქარის ოსტატური, ურთულესი შესრულე-  
ბით; მისი ნამუშევრები საქართველოსა და მსოფ-  
ლიოს ეკლესია-მონასტრებში, მუზეუმებსა და  
კერძო კოლექციებშია წარმოდგენილი. მათ შო-  
რის არის: წმ. ათანასის მთა - ივერონი, ვატო-  
პედი, ლოქიანი, სიმონ-პეტრა, წმ. კინოტი და  
სხვა მონასტრები; იერუსალიმის ჯვრის მონას-  
ტერი, მაცხოვრის აღდგომის ტაძარი, იერუსა-  
ლიმის საპატრიარქო; მეთლემის შობის ტაძარი.

**საქართველოს  
რესპუბლიკა**  
**SAKARTVELOS  
REPUBLIKA**  
ა.გარიშის №116 (მთავარი კაზა)

მთავარი რედაქტორი  
**სპარტაკ ძოგულია**  
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის  
მოადგილე  
**მამუკა მამუკია**  
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი  
**კახა ძორიძე**

შემომცემადგენითი  
ჯგუფი:  
**ალეკო ასლანიშვილი**  
გინა გავრიშიძე  
გინა პლატონიშვილი  
ოთარ ტურაბაიძე

სტილისტ-  
კორექტორები:  
**ნაირა კიკელია,**  
**მანია იორამაშვილი,**  
ოპერატორი  
**შორენა გვილია**

რეკლამის მენეჯერი:  
577-77-27-17  
rkobulia29@gmail.com  
ანგარიშის ნომერი  
GE90BG000000538329790

**გამომცემელი:**  
შპს 100 - ახალი  
„საქართველოს რესპუბლიკა“  
გაზეთ „საქართველოს  
რესპუბლიკის“ გამომცემელი“  
599 36-00-35

ივანეძევა სტამბა  
„კოლორი“  
ი. პაღდავაძის №3  
**კოლორი**  
ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22)  
ს-323

2 009882 616932

**ავტორთა  
საყურადღებოდ!**  
რედაქციის მიერ  
შეუკვეთავე მასალაზე  
დაიკავშირება  
ავტორთა ხარჯით.

**გაზეთის  
მომწოდებელი  
ნომერი  
გამოვა  
პარასკევს,  
15 დეკემბერს**

<p><b>უხსოვრი პაუტის ქარსი:</b> აუშ ღოღარი - 2.6695; პირი - 2.8793; ბრინჯაული ბიკანა სტარლინი - 3.3590; 100 რუბლი - 2.9157; თურქული ლირა - 0.0935; აპარატივანული მანათი - 1.5689; 1000 სომხური დრამი - 6.6305</p>	<p><b>აინდი 13 დეკემბრისთვის</b></p> <p>აღმოსავლეთი საქართველო:</p> <table border="1"> <tr><td>ბარი -</td><td>ღამი</td><td>+2,</td><td>ღამი +11</td></tr> <tr><td>მთიანი რაიონები -</td><td>ღამი</td><td>-2,</td><td>ღამი +9</td></tr> </table> <p>დასავლეთი საქართველო:</p> <table border="1"> <tr><td>ბარი -</td><td>ღამი</td><td>+5,</td><td>ღამი +12</td></tr> <tr><td>მთიანი რაიონები -</td><td>ღამი</td><td>+3,</td><td>ღამი +11</td></tr> <tr><td>თბილისი:</td><td>ღამი</td><td>+6,</td><td>ღამი +11</td></tr> </table>	ბარი -	ღამი	+2,	ღამი +11	მთიანი რაიონები -	ღამი	-2,	ღამი +9	ბარი -	ღამი	+5,	ღამი +12	მთიანი რაიონები -	ღამი	+3,	ღამი +11	თბილისი:	ღამი	+6,	ღამი +11	<p><b>დაგვიკავშირეთ, მოგვწერეთ:</b> ტელ: 599-36-00-35, 577-77-27-17 <b>ელ. ფოსტა: sakresp@top.ge</b> და <b>sakresp@mail.ru</b> <b>ვებ-გვერდი: www.sakresp.ge</b></p>
	ბარი -	ღამი	+2,	ღამი +11																		
მთიანი რაიონები -	ღამი	-2,	ღამი +9																			
ბარი -	ღამი	+5,	ღამი +12																			
მთიანი რაიონები -	ღამი	+3,	ღამი +11																			
თბილისი:	ღამი	+6,	ღამი +11																			